# ახალი სხივი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

სამშაბათი, 16 თებერვალი 1910 წ. № 11

გაზეთი „ახალი სხივი“ ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ე რ თ ი წ ლ ი თ 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. თვიურათ: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. სამი თვით თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კაპ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც თფილისში ღირს.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე ბ ი ს ფ ა ს ი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კაპ. უკანასკნელზე —10 კაპ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი· გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები, ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან— 40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ე რ თ ი შ ა უ რ ი. რედაქციის ადრესი: თფილისი, ვანქის ქუჩა

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ახალი სხივი“

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის

გ ა ზ ე თ ი ღ ი რ ს: თფილისსა და თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., საზღვარ-გარეთ: ერთი წლით 14 მ., ნახევარი წლით 7 მან. სამი თვით: თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კ., ერთი თვით: თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კ.

ხ ე ლ ი ს მ ო წ ე რ ა მ ი ი ღ ე ბ ა: თფილისში „ახალი სხივის“ კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და ყვირილაში რკინის გზის შკაფებში, ქუთაისში ის. კეცარიძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან—წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში მ. თალაკვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში ს. ორაგველიძესთან. დანარჩენ ადგილებიდან ფოსტით უნდა გამოგზავნონ ფული რედაქციის კანტორაში.

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა № 3, შემოსავალი დიდი ვანქის ქუჩიდან.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. „Шрома“, Калистрату Конст. Цуладзе.



## თფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით. ღია არის ყოველ დღე გარდა მოსიარულე ავათმყოფთათვის.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე მ. დ.** შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.

**ბედევანიშვილი მ. ა.** ნერვების და ელ. ორშაბ., ოთხშ. და პარ. $10^1/_2$—11.

**გურკო გ. ა.** შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**ძიძიძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბათობით 9—10 ს.

**კარშინი ა. ა.** კანისა და ვენ., ყოველ დღე, კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მაღალაშვილი გ. მ.** შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინაგანი. ორშაბათ., ოთხშ. და პარ. 1—2 ს.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურგ. და დედაკ. ყოველ დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის. ორშაბათ. ოთხშ. და პარსკ. 2—$2^1/_2$ ს.

**ფირადოვი რ. ბ.** ქირურგ., ყოველ დღე 11—12 ს.

**პოპოვი ბ. ა.** ყურის, ყელის და ცხვირის, ყოველ დღე, გარდა პარ. 2—$2^1/_2$ ს.

**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოველ დღე 9—10 ს,

**სოზოლევსკი გ. ვ.** ქირურგ. ყოველ დღე. 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. (100—83)

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და შეღავათიანი საფასურით.

## ვოგზლის კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვოგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695.

**ექ. ს. ვაშაყმაძე** კბილის ავათმყ. ყოველ დღე 10—11 ს.

**ექ. ი. ზომართელი** ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

**ექ. ა. ნ. დიასამიძე:** ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი:** ყოველ დღე, 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

**ექ. ბ. ა. პოპოვი:** ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

**ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი:** სამშაბათს ხუთ) და შაბათს 2—$2^1/_2$ ს.; თვალის ავათმყოფ.

**ექ. ე. გ. ფედოროვი:** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირ. 11—12 ს. შინაგანი და ბავშვ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით. (100—83)

კბილის ექიმი

## რომანიშვილი—დგებუაძისა

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა № 34.

კბილის ექიმი

## ს, ვაშაყმაძე

დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. საღამოს 5—7 ვერის დაღმართი სახ. 15.

კბილის ექიმი

## ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათმყოფებს დილით 8—12 ს. საღამოთი 3—7 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს.)

ფ ე რ შ ა ლ ი

ლეონტი ბარკალაია

ცრისიყვავილს. იღებს ყელ-ჭირვების, ხუნაგის და ვენერული სენით ავათმყოფებს 3—6 საათამდის. ადრესი: გოგოლის ქუჩ, № 68.


## საშინაო თემაზე

I.

ჩვენი ნაციონალისტური ინტელიგენციის წრეებში ამ ხანათ „დიდი მუშაობაა“. ეძებენ ახალ საშუალებებს ქართველი ერის ასაყვავებლათ და გასაძლიერებლათ. თუ აქამდე მარტო გოდებდენ და ოხვრიდენ „ერის ჭირ-ვარამზე“, დღეს ცდილობენ „მიზნის შესაფერი“ პრაქტიკული პროგრამა შეიმუშავონ, კონკრეტული საქმისათვის მოუწოდონ საზოგადოებას, ერთი სიტყვით, ცალიერი ფრაზებიდან უნდათ ცოცხალ საქმეზე გადავიდენ.

დროც შესაფერი დაუდგათ. ხალხის ფართო წრეების მოძრაობა დღეს-დღეობით ბნელი ძალების მიერ შემუსრულია, დემოკრატია უკანა კუნჭულებში მიდევნეს, რევოლიუციონური მასსა, რომელმაც შექმნა დიდებული ცხრაას ხუთი წელი, სადღაც გაქრა. ამიტომ მის ტრადიციებს და სურვილებს დღეს ?ნ სულ არ აქცევენ ყურადღებას, ან თუ აქცევენ იმდენათ, რამდენათაც ეს დაცინვის მასალათ გამოადგებათ. სულ სხვა იყო ამ ხუთი წლის წინეთ, საზოგადოებრივი აღფრთოვანების დროს. მაშინ განმათავისუფლებელი მოძრაობის მებაირახტრე მუშებს მინისტრები „ძმებს“ უწოდებდენ. ინტელიგენცია მათ გუნდრუკს უკმევდა და მათი გულისთვის თუგინდ ჯვარს ეცმებოდა. ერთი სიტყვით, ყველანი მათ სურვილებს და მოთხოვნილებებს ანგარიშს უწევდენ. არც ერთი პოლიტიკური მიმდინარეობა, თვით უკიდურესი მემარჯვენე მიმართულებაც კი, თავისუფალი არ იყო ამ გავლენისაგან. ყველას და ყველაფერს ამ გავლენის აშკარა ბეჭედი ესვა.

თუ გერმანიის მთავრობაზე ამბობენ, რომ იგი ვერც ერთ კანონ-პროექტს ვერ შეიმუშავებს ისე, თუ თავს არ დაეკითხა—როგორ შეხვდება მას მუშათა პარტიაო, ეგევე უფრო მეტათ ითქმოდა რუსეთში მომქმედ პოლიტიკურ პარტიებზე 1904—6 წლებში. მაშინ პოლიტიკური პრაგრამები იწერებოდა მუშათა მოძრაობის პირდაპირი თუ არა პირდაპირი გავლენით. საერთო მიმდინარეობამ ჩვენი ნაციონალისტური ინტელიგენციაც ჩაითრია. მაშინ იგიც მუშათა მოყვარეთ სთვლიდა თავს, იგიც სოციალისტობდა და ბურჟუაზიის იდეოლოგიის სახელი მასაც სათაკილოთ და შეუფერებლათ მიაჩნდა. ასე წარმოიდგინეთ, იგი სოციალდემოკრატიას სოციალიზმს უწუნებდა, მის „ზომიერებას“ დასცინოდა და თავისი „უკიდურესი“ მიმართულებით თავი მოსწონდა, მარა, მოგეხსენებათ, ქვეყანაზე მუდმივი არაფერი არ არის, ყველაფერი იცვლება. დრონი იცვლენ და ჩვენმა „რადიკალურმა“ ინტელიგენციამაც რევოლიუციონური დროის გატაცებანი წყალს გააყოლა. სოციალიზმი ახლა „ხალხის წამბილწავი თეორიული მოსაზრებაა“, ანდა უკეთეს შემთხვევაში, იგი თავის შესაქცევი ოცნებაა, რომელიც არავის არაფერს არ ავალებს. იგი ახლა ახალ ჰანგებზე დამღერის. ქართველი ბურჟუაზიის განვითარება, მისი ზრდა გამდიდრება— ეს ქართველი ერის ზრდა-განვითარებაა. ამიტომ ქართველი ბურჟუაზიის გამდიდრებაზე ზრუნვა—ეს უდიდესი ეროვნული მოღვაწეობაა. ასეთია ის მრწამსი, რომელიც თანდათან ფეხს იკიდებს ნაციონალისტური ინტელიგენციის წრეებში. კიცმა რომ თქვას აქ ახალი არაფერი არ არის, დაახლოვებით ასეთი ლოზუნგი ამ ათი წლის წინათ ბ. არჩილ ჯორჯაძემ გადაისროლა „ჩვენ ეროვნულ მოღვაწეთა“ შორის. იგი მაშინ იმდენათ გულუბრყვილო იყო, რომ ქართველ მუშებსაც მოუწოდებდა ხელი აეღოთ თავის კლასიური ინტერესების დაცვაზე— ქართველი ბურჟუაზია მოღონიერდება და მერე თქვენც გაგაკეთებსო!

თუ მაშინ ბ. არჩილ ჯორჯაძის „ეროვნულ პროგრამას“ გულგრილათ შეხვდენ თვით ისინიც კი, ვისდა საყურადღებოთ და სახელმძღვანელოთ იგი იწერებოდა, დღეს, სამაგიეროთ, ამ დროებით მივიწყებულ ლოზუნგს მაგრათ ჩასჭიდებიან „საქართველოს მოამბის“ პუბლიცისტები. ამ მხრით ეს ორგანო მეტათ გულახდილი და ჯიქურია. წაიკითხეთ, მაგალითად, ამ გაზეთში მოთავსებული ფ. გოგიჩაიშვილის წერილები, ნ. თავდგირიძის წერილი (იხ. „საქ. მოამ.“ № 13 და სხვ.) და თქვენთვის აშკარა იქნება ზემოთ ნათქვამის სიმართლე. იდეია ამ წერილებისა მარტივი და აშკარაა: შევუწყოთ ხელი ქართველ ვაჭარ-მრეწველთა კლასის გაძლიერებას, ეროვნული კაპიტალის შექმნას!

ბ. ფ. გოგიჩაიშვილს არ მოსწონს დღევანდელი სწავლა-აღზრდის სისტემა. იგი მისი აზრით სრულიათ არ შეეფერება ქართველების მდგომარეობას. ქართველ ხალხში ისედაც ბევრია ეკონომიური წარმატების ხელის შემშლელი თვისებები და დღევანდელი სასწავლებლები არა თუ ხელს უწყობს ამ ქართველთა თვისებების მოსპობას, არამედ—კიდევ უფრო აშორებს იგი მათ საალებ-მიმცემო და სამრეწველო მოღვაწეობას. ამიტომ გოგიჩაიშვილის აზრით საჭიროა ქართველებმა უკუაგდონ საზოგადო განათლებით გატაცება და ხელი მოჰკიდონ ისეთ სწავლას, რომელიც მოგვცემს ჩვენ კარგ კომერსანტებს, კარგ ვაჭრებს და მრეწველებს. თავის მხრით ავტორი არ ზოგავს საკუთარ ძალ-ღონეს, რომ დაუმტკიცოს ქართველ მკითხველს, თუ რა თვისებებია დღეს საჭირო სამრეწველო და სავაჭრო ასპარეზზე „მოღვაწე“ პირთათვის და რამდენათ არ შეეფერება ქართველების ახლანდელი ზნე-ჩვეულება ზედმეტი ღირებულების მიმთვისებელთა ამ სანაქებო თვისებებს! *) იგი წელზე ფეხს იდგამს რომ—მისი სიტყვებით რომ ვთქვათ—„დროის შესაფერი მკურნალობა გაეწიოს“ ქარ. წვრილ-ფეხა ბურჟუაზიას. თავი გაანებეთ ხელგამლილობას ამ ქართველთა დამღუპველ თვისებას— ეუბნება იგი მათ; გამოიჩინეთ დამზოგველობა, იცოდეთ, რომ „თანამედროვე საქმის კაცისთვის აღებ-მიცემობა—ასე ვთქვათ ერთგვარი ქურაა, რომელშიდაც იგი დებს ერთ აბაზს იმ მიზნითა და განზრახვით, რომ ორი აბაზი ან ექვსი შაური მაინც გამოიღოს ამ ქურის მეორე მხარედან“ (იხ. „საქ. მოამბე“ № 6.) ბატ. გოგიჩაიშვილმა იცის ან თუ ეხლა დაავიწყდა,—ერთხელ მაინც იცოდა, რომ „მისი ქურა“ ყველას ერთნაირათ არ სწყალობს: ერთისათვის თუ იგი აბაზებს სჭედავს, მეორეს სიმშილს, სიღარიბეს და მონობას უმზადებს, მარა ამ ხანათ ჩვენ ეს არ გვაინტერესებს. გოგიჩაიშვილს და კომპ. სრული უფლება აქვს დაიცვას იმ კლასის ინტერესები, რომელთანაც იგი მეტ ნათესაობას გრძნობს.

თუ სხვა ერის ბურჟუაზიას ყავს თავისი იდეოლოგები, რომლებიც მზათ არიან მუხლზე ჩოქვით ემსახურონ კაპიტალის ინტერესებს, რატომ ქართველი ბურჟუაზია უნდა იყოს მოკლებული ამ თავის დაცვის ძლიერ საშვალებას? ეგ სრულიათ ბუნებრივი მოვლენაა და ჩვენ სრულებით არ გვაკვირებს ის გარემოება, რომ ბევრი ქართველი ინტელიგენტი, რომელთაც ჯერ კარგათ ახსოვთ „სიჭაბუკის გატაცებანი,“ დღეს მამობრივი მზრუნველობით ევლებიან თავს ქართველ მჭლე ბურჟუაზიას, რომ გაზარდონ ფეხზე დააყენონ იგი, მარა როცა ამ დახლიდარის პროზას მაღალი იდეალების სამოსელში ხვევენ, როცა კაპიტალის სამსახური ეროვნულ საქმეთ გამოაქვთ, ხოლო თავიანთი თავი ერის მეჭირისუფლეთ და მალამოთ, მაშინ არ შეგვიძლია არ შევაჩეროთ და არ მოვახსენოთ მათ: ბატონებო! თქვენ შეგიძლიათ ემსახუროთ ქართველი ბურჟუაზიის ინტერესებს, შეგიძლიათ იზრუნოთ ვაჭარ-მრეწველთა კლასის კეთილდღეობაზე, მარა თავი დაანებეთ მაღალ ფრაზებს ეროვნული საქმის შესახებ, დაკმაყოფილდით კაპიტალის მსახურის როლით, რისთვისაც თქვენ მიიღებთ შესაფერ გასამრჯელოს და პატივისცემას და ხელი აიღეთ ეროვნული მოღვაწის პრეტენზიებზე! თქვენ შეგიძლიათ ქართველ ბურჟუაზიას პრაქტიკულათ შეათვისებინოთ პოლიტიკური ეკონომიის ერთი დებულებათაგანი ზედმეტი ღირებულების „გამოჩეკის“ შესახებ, მარა თავი დაანებეთ იმავ დროს იმაზე ძახილს, რომ თქვენ იცავთ მთელი ქართველი ხალხის ინტერესებს. იქ, სადაც კაპიტალი ვითარდება და იზრდება, მასთან ერთათ იზრდება და ღრმავდება წინააღმდეგობა მქონებელთა და ქონებას მოკლებულთა შორის, ითხრება გაუვალი უფსკრული მათ შორის, რომლის ამოვსება არ შეუძლია არავითარ მჭერმეტყველურ ქადაგებას საერთო ინტერესების შესახებ, ვინაიდან ცხოვრება და სინამდვილე გაცილებით უფრო მჭერმეტყველურია მუშათა კლასისთვის, ვინემ ბურჟუაზიული დემაგოგების ლათაიები.

ნ. ხ.

1) იხ. „საქ. მოამბე“ №№ 6. 8. 11. ფ. გოგიჩაიშვილი: „ჩვენ და ცხოვრება,“

## სახელმწიფო დუმა.

(სააგ. დეპეშ.)

13 თებერვალი.

თავმჯდომარეობს თავ. ვოლკონსკი. დუმა განაგრძობს ბიუჯეტის შესახებ კამათს. ლაპარაკობს დზიუბინსკი. ის ეხება ფინანსთა მინისტრის სიტყვებს. მინისტრის განცხადება, რომ კარგი მოსავლისა და საზღვარ-გარეთ პურის გაზიდვით რუსეთში ოქროები იწყებს დენას, დზიუბანსკის გადამეტებულათ მიაჩნია: ის ამტკიცებს, რომ ხალხი დამშეულია დასასრულ შრომის ჯგუფის სახელით ორატორი აცხადებს, რომ შრომის ჯგუფი ხარჯთ-აღრიცხვის წინააღმდეგ მისცემს ხმას. ამაში ის ხედავს ერთათ-ერთ საშუალებას გამოუცხადოს ხალხის სახელით გაკიცხვა მთავრობას მისი მოქმედებისთვის.

ბელოუსოვი ამბობს, რომ მას ვერავითარი საბუთი ვერ უპოვნია სიხარული გამოაცხადოს უდეფიციტო ბიუჯეტის შესახებ: სახელმწიფოს მძიმე უღლათ აწევს ათ მილიონიანი სესხი, გლეხების და მუშათა მდგომარეობა ოდნავათაც არ გაუმჯობესებულა. ხალხი ისევ იმ საშიშარ მდგომარეობაშია, უმუშევრობა და უფულობა ისევ მეფობს. ბიუჯეტი ისევ ისეა, ძველებურათ სწუწნის უკანასკნელ წვენს ხალხს, ოცდა ათი ათასი აგრარიების გამოკლებით. ქვეყნის საწარმოვო ძალთა განსავითარებლათ არავითარ ზომებს არ ღებულობენ. გადასახადები ისევ ღარიბ ხალხს აწევს კისერზე. დღითი დღე იზრდება სამხედრო, პოლიციის და საპენსიო ხარჯები. თურმე ერთათ-ერთი იმედი კარგი მოსავალი ყოფილა, მაგრამ სამწუხაროთ, ყოველ წლივ კარგი მოსავალი არ არის... [illegible] რობის იმედი კარგ მოსავალზე გვაგონებს გლეხის იმედს წვიმაზე. ეკონომიურათ დაქვეითებული რუსეთი აუარებელ ფულებს ხარჯავს მილიტარიზმზე. ის, ვისაც კეთილი [illegible] ხალხისთვის, არ მოსტყუვდება გამოფიტული ბალანსით და ეტყვის ძველ მთავრობას: წადით, დასცალეთ ადგილები ხალხის ნდობით აღჭურვილ კაცებისათვის (მარცხნით ტაშისცემა). ლვოვი პირველი ამბობს, რომ უდეფიციტო ბიუჯეტი დიდათ საიმედო არ არის. ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესების ყველა პროექტები შემთხვევითია. ნამდვილათ, ყველგან და ყოველ სამეურნეო დარგში მოუწყობლობას ვხედავთ. როგორც მაგალითათ, რკინის გზის საქმე და სხვა. ლაპარაკობს ბერეზოვსკი მეორე და ეროპკინი. ეროპკინი ასე ათავებს თავის სიტყვას: სანამ მთავრობა ხალხის წარმომადგენლებისთვის მიუწდომელია, სანამ სახელმწიფო კანტროლი აღმასრულებელი მთავრობის ხელში იქნება, მანამდე ბიუჯეტი უკანტროლოთ დარჩება და მისი პასუხისმგებლობა არ შეიძლება ხალხის წარმომადგენლებმა იკისრონ.

შემდეგი სხდომა დანიშნულია ორშაბათს.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

14—15 თებერვალი

### სპარსეთი

**თეირანი.** მდინარე ჩუმუსხალის შესახებ ინციდენტი მწვავე ხასიათს ღებულობს. წინათ სპარსელი მოიჯარადრენი ნებას აძლევდენ ადგილობრივ მემამულეებს უსასყიდლოთ ესარგებლათ მდინარით. ეხლა ნაციონალისტების ინტრიგების გამო მოიჯარადრეებმა უარი სთქვეს იჯარაზე და ახალმა კონტრაგენტებმა მდინარე რუს მეთევზეებს გადასცეს. როცა უკანასკნელები მივიდენ იჯარის ჩასაბარებლათ, გილიანსკის საელჩოს აგენტის თანხლებით, ადგილობრივი მცხოვრებნი თავს დაესხენ, სცემეს აგენტს და გარეკეს მეთევზეები. რუსეთის მისია დაკმაყოფილებას თხოულობს. მთავრობა დამნაშავეების დასჯას აგვიანებს და მდინარის იჯარით გადაცემაზე უარს ამბობს იმ მოსაზრებით, რომ საიჯარო კონცესიით მდინარე ადგილობრივ მცხოვრებთ უნდა მიეცეთ.

**თეირანი.** მოხდა საპროტესტო მიტინგები უცხო სახელმწიფოებიდან სესხის აღების წინააღმდეგ. პროტესტს აცხადებენ აგრეთვე ვაჭრები და წინადადებას იძლევიან შინაური სესხი აიღონ.

### ოსმალეთი

**სტამბოლი.** ათინიდან მოსული ოფიციალური დეპეშები ამბობენ, რომ მდგომარეობა კრიტიკულ ხასიათს ღებულობსო.

რადგან ოსმალეთ-ბულგარეთის საზღვარზე ხშირათ ხდება შეტაკება, გადაწყვეტილია გაამაგრონ საზღვარი რისთვისაც, აზრათ აქვთ, განსაკუთრებული კომისია აირჩიონ.

**სტამბოლი.** ცარსკოე-სელოში წარმოთქმული სიტყვები მეფე ფერდინანდის პატივსაცემლათ ყველა გაზეთებმა გაარჩიეს. გაზეთების უმრავლესობა კმაყოფილია ამ სიტყვის მშვიდობიანი კილოთ, მაგრამ საზს უსვამენ იმას, რომ ბულგარეთის დამოუკიდებლობას დიდი მნიშვნელობა მისცეს. „ერთობა და პროგრესი“ და „ტანინი“ ფიქრობენ რა, რომ რუსეთს უნდა მოუწოდოს სლოვენებს, ამბობს: ოსმალებსაც უნდათ მშვიდობიანი ცხოვრება ბალკანეთში, მაგრამ თუ ნება და მხოლოდ საჭიროებისათვის ოჯახი ბალკანეთის ფედერაციაში ლათ გვერეკებოდენ გას სათავეში ... მოძღვრელათ, მაგრამ თქვენ მალეთის ... და დაგვიხსენით მოსალოდნელი მშვიდობიანობისაგან. დღეის შემდეგ ჩვენც ... ერთად დავიხოცებით და რამდენი ... ახალგაზრდა ქურთი მაშინვე შეკრთება რაზმს.

გურჯი სერგო.

(შემდეგი იქნება.)

მავალ კვირაში პარლამენტში წარადგე-ნენ. ამ პროექტით უცხოელებს ნება აქვთ შევიდენ საბერძნეთის სამსახურში საბერძნეთის ქვეშევრდომებთან თანასწორ უფლებით; პარლამენტმა მორიგ სესიაში აუცილებლათ უნდა განიხილოს ბიუჯეტი, არჩევნებში ბარათებით უნდა მისცენ ხმა, შემცირებულ უნდა იქნას დეპუტატთა წლოვანება 30—25 წლამდე, აფიცრებს დეპუტატობის უფლება არ უნდა ქონდეთ“ და სხვა.

**ვენა.** თავისუფალ მოაზრენი, ნაციონალისტები და რადიკალები ერთი ნაციონალისტურ პარტიათ შეერთდენ. პარტიას სახელათ ეწოდება ნემეცთა ნაციონალური კავშირი.

**ლონდონი.** რეიტერის სიტყვით შინაური კრიზისი გათავდება ორშაბათს, როცა ასკვიტი წარსდგება პალატაში საპროგრამო სიტყვით. მთავრობის პროგრამის ცენტრალური პუნქტი არის ლორდთა პალატის „ვეტოს“ გაუქმების შესახებ ბილლი.

**ათინა**. მეფემ გუშინ მიიღო პალატის პრეზიდიუმი და იმედი განაცხადა, რომ კარგათ შეასრულებს თავის დანიშნულებას კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ.

**ლონდონი.** რეიტერის სიტყვით კაბინეტის გადადგომის შესახებ ხმები ტყუილია.

**ბუდაპეშტი.** იუსტის პორტა მოუწოდებს ხალხს იხელმძღვანელონ არჩევნების დროს პარტიის დევიზით: გადამჭრელი ბრძოლა ავსტრიასთან უნგრეთის ეკონომიურ დამოკიდებულებისათვის.

**ბერლინი.** ბერლინში და ფრანკფურტში მაინაზე საპროტესტო მიტინგები მოხდა პრუსიის ლანდტაგში არჩევნების შესახებ კანონ-პროექტის გამო. ფრანკფურტში მიტინგს დაესწრო 50,000 კაცი. ინციდენტი არ ყოფილა.

**რუსეთი.**

**მინსკი.** სამხედრო სასამართლომ ბობრუისკში ფოსტაზე თავდასხმისა, ფოსტალიონის და მეეტლის მოკვლისთვის ერთს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა, მეორე გაამართლა, ხოლო მესამემ სატუსაღოში თავი მოიწამლა.

**ვიბორგი.** გლეხის ოჯახში მოჯამაგირემ ღამით ცულით მოკლა ხუთი კაცი და ორი დასჭრა. მკვლელი მიიმალა.

**პოლტავა.** ადმინისტრატიულათ გადასახლებულ და თავის ნებით დაბრუნებულ მორჩენსკის დაჭერის დროს, მან რევოლვერით დასჭრა პოლიციის აგენტი, შემდეგ თვითონ დაიჭრა თავი მძიმეთ.

**პეტერბურგი.** შეკითხვათა კომისიამ 15-ხმით წინაამდეგ 9 ხმისა მიიღო შეკითხვა ადესის გრადონაჩალნიკ ტოლმაჩევის უკანონო მოქმედების შესახებ სახელმწიფო დუმის არჩევნების დროს 1909 წელს.

**ეკატერინოსლავი.** სადგურ მარიუპოლსა და სარტანას შუა უცნობებმა გაძარცვეს მატარებელში სამი მგზავრი. წაართვეს 6000 მანეთი, გადახტენ გაქანებულ მატარებლიდან და გაიქცენ.

## დრამატიული საზ. საზოგადო კრება.

**შთაბეჭდილება.**

„შემოიკრიბენ მამულისშვილნი ამაზე ჰქონდათ მსჯელობა“.

მსჯელობა რუსულათ, უკეთ, რუსულ-ქართულათ, ხან ლექსათაც!

არის თუ არა საჭირო თეატრი? უნდა განაგრძოს ქართულმა ეროვნულმა თეატრმა არსებობა—თუ დაიხუროს?

ასე დასვა კითხვა თავმჯდომარემ. ასაბუთებდა კიდეც, თუ რისთვის არის საჭირო ამ კითხვის გადაწყვეტა?

დასტკბით ბატონებო თქვენი სასიქადულო მოღვაწეობის ნაყოფით! აი სად მიიყვანა თქვენმა მესვეურობამ ამ ეროვნული დაწესებულების ბედი! სამოცი წლის არსებობის შემდეგ კითხვა ისმება—არის თუ არა საჭირო ქართული თეატრიო!

ასე ყვავის ის დაწესებულება (განა მარტო ეს?!), რომლის ბედ-იღბალი დროთა ვითარებამ ჩვენს „მამულისშვილებს“ ჩააბარა.

იქნებ აქაც „სამშობლოს მოღალატენი“ უშლიდენ ხელს! მარა ამაზე სხვა დროს. დავუბრუნდეთ კრებას.

ეს მესამეთ ხდება საზოგადოების კრება და გამგეობას, მიუხედავათ მრავალგზის დავალებისა, ახლაც არ წარმოუდგენია ანგარიში. ან კი რა საჭიროა დავალება? ყველგან და ყოველთვის გამგეობა მოვალეა საზოგადო კრებას ანგარიში წარმოუდგინოს. აქ კი გამგეობას ავალებენ, სამჯერ კრებას დებენ—იქნებ ველირსოთ ანგარიშსო, მაგრამ ამაოთ! გამგეობა ყურსაც არ იბერტყს.

რატომ არ წარმოადგინა გამგეობამ ანგარიში?

ცხადია, „დანიის სამეფოში ყველაფერი ვერაა რიგზე“! და რომ ეს ასეა, ამას არც მალავენ კრებაზე. დგება სარევიზიო კომისიის წევრი და აცხადებს: მე მივედი სარევიზიოთ, მარა წიგნებში ვერც ერთი ვერ ვნახევო. სამი წელია ეს გამგეობა „მუშაობს“ და მის წიგნებში ერთი ციფრიც არ მოიპოვება! ამაზე მეტი გულ-გრილობა, ამაზე მეტი მასხარათ აგდება საზოგადო საქმისა კიდევ შეიძლება?! ეს კიდევ ცოტაა. დგება მეორე და აცხადებს: ნუ უცდით ანგარიშს: სულ ერთია, ასი წელიც რომ უცადოთ, ანგარიშს მაინც ვერ გაიგებთ, რადგან არავინ არ იცის სად რაა და ვის რა აქვს!

ასეთია თითქმის ყველა ჩვენი საზოგადო დაწესებულების ბედი! არავინ არ იცის სად რაა და ვის რა აქვს! ამიტომ რათ უნდა გაუკვირდეს ვინმეს თუ ჩვენი საზოგადო დაწესებულება გაფურჩქვნასაც კი ვერ ასწრობს, რომ კვდება და ისტორიას ბარდება! და როცა მესაფლავეებს უსაყვედურებენ და აღნიშნავენ მათ როლს ამ უდროვო და ძალათ სიკვდილში, ისინი ყალზვე დგებიან და ვითარცა ჯვარცმულნი, გოლგოთიდან გამვლელ-გამომვლელთ აცნობენ: შეხედეთ როგორ გვებრძვიან, როგორ გვაწამებენ და მით საზოგადო საქმესაც ძირს უთხრიანო!

აღსანიშნავია, რომ თვით გამგეობის თავმჯდომარემ ზ. გოთუამ ყველაზე უწინ მოითხოვა—ჯერ ახალი გამგეობა აირჩიეთ და ანგარიში მაშინ განიხილეთ როცა იქნებაო!

სად გაგონილა, რომ ახალი გამგეობა აირჩიონ ჯერ და მერე, ოდესმე, თუ იქნა კრებამ განიხილოს ის ანგარიში, რომელიც შეეხება იმ დაწესებულებას, რომლის გამგეობას ის ირჩევს! ან რომელი გამგეობა იქნება ის, რომ იკისროს იმ დაწესებულების პატრონობა, რომლის ასავალ-დასავალი, მან არ იცის, მარა ასეთები აღმოჩნდენ და კიდევაც ანგარიშის განუხილველათ იკისრეს გამგეობის წევრობა. თუმცა ერთი მხრით სხვაფრივ არც შეიძლებოდა კრები მოქცეულიყო, რადგან დარწმუნდა, რომ ანგარიშს ის, სულ ერთია მაინც ვერ ეღირსება, და იმავე გამგეობის ხელში საქმის დატოვება კი, ეს თეატრის დასაფლავებაზე უნებლიეთ დახმარებას ნიშნავდა.

კრებაზე ზ. ლ. მესხიშვილმა სხვათა შორის სთქვა: თავად-აზნაურთა წინამძღოლმა წინადადება მოგვცა, თუ დღეს არ იქნება არჩეული ახალი გამგეობა, თეატრი უნდა დაიხუროსო. ასე რომ, თეატრის ბედი სავსებით მათზეა დამოკიდებულიო. ეს სიტყვები ფრიად დამახასიათებელია ჩვენი თეატრის არსებობის ისტორიისათვის. ჩვენი თეატრი დღესაც თავად-აზნაურობაზეა დამოკიდებული, უმისოთ ერთი დღის არსებობაც არ შეუძლია. და როცა კრებაზე კამათი გაიმართა თეატრის საქმეების გამოსაკეთებლათ, ყველა ისევ თავად-აზნაურობისაკენ იყურებოდა, მითგან მოელიან ხსნას და მათი მოწყალების და ხელის შემყურე სწყვეტდენ კითხვას. სხვა საშვალება, სხვა ზომები თითქოს არ არის, თითქოს თეატრი მუდამ ასეთი მოწყალებით უნდა არსებობდეს, თითქოს არ დამდგარიყოს ის დრო, როცა თეატრი „დიდ შარაზე“ უნდა გამოვიდეს, თავის საკუთარ ფეხზე დადგეს და მით თვით გაიკაფოს ეკლიანი გზა. აქ კი გამოდიან და ერთად ერთ საშვალებათ ისევ „მათხოვრობას“ და „მოწყალებას“ აღიარებენ. აქ არის ქართული თეატრის ყველაზე უფრო მტკივანი ადგილი და აქეთკენ უნდა იქნეს მიქცეული თეატრის ბედ-იღბლით დაინტერესებულ პირთა მთელი ყურადღება. საჭიროა რადიკალური ზომები და არა თავად-აზნაურობის „თვალში ყურება“. ერთი თავადის მაგიერ მეორე თავადის არჩევა საქმეს ვერ უშველის. დროა არის ჩვენი თეატრი გამოძვრეს თავად-აზნაურთა ქერქიდან; თუ უნდა ჩვენ თეატრს გახდეს ნაციონალურ დაწესებულებათ, ის უნდა დაქანდეს საზოგადოების იმ ნაწილისაკენ, რომელიც დღეს ნაციონალური ხელოვნების მატარებლათ ითვლება. ეს ნაწილია—დემოკრატია. სანამ ეს არ მომხდარა და სანამ ჩვენი თეატრის ჰკირისუფლობა ისევ იმ ორ კაც-ნახევარის ხელში იქნება, რომლებიც დღეს განაგებენ მას, მანამდე ჩვენი თეატრი მუდამ ასეთ აგონიაში იქნება და საეჭვოა, რომ სიკვდილს გადურჩეს...

გამგეობასთან ერთად კრებამ აირჩია სარევიზიო კომისიაც, რომელმაც ანგარიში უნდა ჩამოართვას ძველ გამგეობას, თუ კი, რასაკვირველია, ასეთი ანგარიში აღმოჩნდება სადმე. ყოველ შემთხვევაში, სარევიზიო კომისია მოვალეა სასტიკი რევიზია მოახდინოს და სინათლეზე გამოიტანოს ყოველივე ის, რაც ამ სამი წლის განმავლობაში სიბნელით იყო მოცული.

რევიზია სრული და მიუდგომელი!

[illegible]

### სამგლოვიარო წერილი

გული დამწყვიტა ძვირფასი მასწავლებლის მელიტონ ჩოგოვაძის უდროვოთ დაკარგმამ.

ყოფილი მოსწავლე ნადია კალანდარიშვილი.

## ახალი ამბავი

**მღლობა.** იმერეთის საეპარქიო კრების სახელით ბლაღოჩინი სიმ. მჭედლიძე შემდეგის დეპეშით მიესალმა საქართველოს ახალ ეგზარხოსს ინოკენტის: „იმერეთის სამღვდელოების დეპუტატთა მე-51-ე კრება სავალდებულოთ სთვლის მოგილოცოთ, მეუფეო, მშვიდობით ჩამოსვლა მრავალ-ტანჯულ ივერიის სამწყსოში. თქვენი აღთქმანი, ჭეშმარიტ ქრისტიანულ გრძნობით გამსჭვალულნი, განგვახარებს იმ იმედით, რომ თქვენი უუწმინდესობა ხელს შეუწყობს ივერიის უძველეს ეკლესიას, რომელმაც უკანასკნელ დღემდე შეინარჩუნა მართლმადიდებლობა. კურთხეულიც იყოს თქვენი მშვიდობიანი, მოციქულებრივი მსვლელობა ძველთაგანვე მართლ-მადიდებელ ივერიაში და უზენაესმა მოგანიჭოთ ძალა და სიმხნე ივერიის მართლმორწმუნე მოციქულებრივ ეკლესიის განახლებისა და მის კანონიერ უფლებათა აღდგენისათვის.“

საქართველოს ეგზარხოსმა ინოკენტიმ შემდეგი დეპეშით უპასუხა:

„თქვენო უსამღვდელოესობავ! გთხოვთ ჩემი მადლობა გადასცეთ თქვენი ეპარქიის დეპუტატთა კრებას ჩემს საეგზარხოსოში ჩამოსვლის გამო მილოცვისათვის. მშვიდობიანი შრომა რუსეთისაგან განუყოფელ და მის ხელქვეით მყოფ ივერიის ეკლესიის საკეთილდღეოდ, სამართლიანი მოპყრობა ამა ეკლესიის ყველა შვილთა მიმართ, ეროვნების განურჩევლად—ჩემი მოვალეობა და წმიდა ვალია, მაგრამ მე სრულებით უარვყოფ ხელი შევუწყო ივერიის ეკლესიის ვითომც კანონიერ მისწრაფებათა და უფლებათა აღდგენას. ვურჩევ მწყემსთ ხშირად და მხურვალეთ განაღვივონ თავის გულში მოძღვრული სული. საქართველოს ეგზარხოსის, ინოკენტი.

(„კავკაზი“)

---

## სპარსეთის მოძრაობის ისტორიიდან.

(გაგრძელება)

შუაღამეა. ზოგიერთა საფრებში ცეცხლი ანთია. გარშემო რაზმელები შემომწკრივებულან. ზოგი ღვინოს სვამს, ზოგი იცინის და ჯარს ლანძღავს.

შუა გზიდან მოისმის ქართული ურმული სიმღერა, რომელსაც ყველა სიმღერის მოყვარე სულ-განაბული ყურს უგდებს და გათავებისას განმეორებას თხოულობენ.

ღამის ორი საათია. ღვინო გამოილია. ცეცხლიც ოდნავ ბჟუტავს. სიცივისაგან რაზმელები ერთმანეთს ეკვრიან. მოულოდნელათ საფარში შემოვარდება ერთი დარაჯი რაზმელი და აღლაბრული კილოთი აჭყობინებს ამხანაგებს: „ვაა! ეს რა ვნახე კაცო! ოთხასმა ვირმა ერთად ჩაიარა ამ გზაზე! ჩემმა მზემ აი! (ღამე დიდი მოძრაობაა თეირანის გზაზე. მეტი წილი ხარლვადრებისა ღამე ერეკება დატვირთულ ჯორ-აქლემს). ოთხას პირველიც შენ იქნები შე ოხერო შენა, განა ვირებისთვის გვაღვიძებ? იყო პასუხი, რამაც სიცილ-ხარხარი გამოიწვია და შერცხვენილი „ბრადიაგა“ ლანძღვით გაბრუნდა უკან.

ოთხი საათია. თითქოს ყველას სძინავს, მარტო წინა საფრიდან მოისმის „სიმიდსა თოხნა დავუწყოთ“, სიმღერა, რომელიც აფხიზლებს და ახალისებს მიყუჩებულ არე-მარეს.

6 საათია. ისმის „სვისტოკის“ წკრიალი. *„товарищи, собраться! по дому“.* სიტყვების გაგონებაზე ყველა საყდრისაკენ ისედაც შუშვნათ გაეშურენ დახადხი მთლათ მაწასთან. იმედი ჩვენი ხალხისათვის იჭიდებს გარდა რაზმი[illegible] უფველივე ხარჯების ჩასვლის თვეების დაკმაყოფილებას, მარა, სამა რუდბარით) კადასახადების დაკმაყოფილება საქმენი თავდა, ღდის სარწმუ არ მთავსვლეის. [illegible] ლოს..

უკან დაბრუნებას ლამობდენ გარდა დროშაკელებისა, რომლებიც ეფრემს ელოდებოდენ და ყოყმანში იყვენ. ქართველებმა კი ყველამ ერთ ხმათ გადასწყვიტეს რეშტში დაბრუნება პანოვ-ყოჩების ასალაგმავათ; როდესაც რუდბარში მყოფმა მუიზამ-სულთანმა გაიგო ქართველების გადაწყვეტილება, შეშლილივით შეიჭრა მათ ოთახში და შემდეგი სიტყვებით მიმართა: „გურჯებო! ნუ დამღუპავთ! მომკალით თქვენი ხელით, გადამარჩინეთ მოსალოდნელ წამებას. ნუ ნუ იზამთ ისეთ საქმეს, რომ თქვენგნით პატივცემული მუიზამ-სულთანი ცოცხალი ჩაუვარდეს მამედ-ალი შახს ხელში. მომკალით თქვენ! თუ კი ორმოცი დღე დამწყვდეულებმა ჩემს სახლში. გაუძელით ამდენ ვაი-ვაგლახს, განა რა შეუძლია ვილაც პანოვს თქვენი არა სასურველი რამ ჩაიდინოს?“

მუიზამ-სულთანის სიმპატიური, ვაჟკაცური შეხედულება ყველას მოსწონდა. მისი თავაზიანობა, ზრდილობა ყველას იტაცებდა და ბევრ ქართველს იგი ძმასავით უყვარდა. ამ სიტყვების გაგონებაზე ფიცხ ქართველებს გული მოულბათ. გადასწყვიტეს მარტო ორი ამხანაგი წასულიყო რეშტში და სხვებთან ერთად საქმე იმათ გაერჩიათ, შეფეგი კი საჩქაროთ ტელეფონით ეცნობებინათ. ორი წარმომადგენელი იმავ დღეს გაეშურა რეშტისაკენ, რომლებიც მუყაითად შეუდგენ საქმის გამოძიებას და მოწესრიგებას.

ვინ იყო ფედორ პანოვი და რა სარგებლობა მოუტანა მან სპარსეთის რევოლიუციონურ ხალხს?

ფედორ პანოვი (სტეფან პანოიანცი) როგორც ზევით ავღნიშნე, რეშტს ეწვია 28 იანვარს. მან თავი სპარსელებს, ისე მოაჩვენა ვითომ ის გამოჩენილი რევოლიუციონერი იყო რუსეთში, რუსის აფიცრათ ნამყოფი მანჯურიაში იაპონელებთან ომში მიშჩენკოსთან ერთად ნაბრძოლი და ისეთი მცოდნე სამხედრო საქმისა, რომ დიდებული ფუგასებით, რომლის გეგმაც რაზმელებს გააცნო შეეძლო მთელი ქალაქის ორ საათში აფეთქება. სპარსელებმა ინტელიგენტ-ავანტიურისტი პანოვი მართლა სპარსეთის მხსნელად დასახეს და ბაქოელი ყოჩების წყალობით სამხედრო შტაბის წევრათ აირჩიეს.

ქართველები და სომხები, როგორც უფრო გამოცდილნი, ადრევე მიხვდენ საქმე რით გათავდებოდა და პანოვის შტაბში ყოფნას შორიდან თვალ-ყურის დევნება დაუწყეს. პანოვმაც არ დაახამა და შესდგა თუ არა შტაბში ფეხი, თავისი თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა. ის არ სცნობდა არც რეშტში არსებულ ენჯუმენს, არც სამხედრო შტაბის დანარჩენ წევრებს (რევოლიუციონერებისაგან ამორჩეულებს) და არც დანარჩენ რევოლიუციონურ დაწესებულებებს. მთელი შტაბის ქონება, ნაღდი ფული 20,000 თუმანი, რომელიც გადაახდევინეს თალიშის რეაქციონერ გუბერნატორს, იარაღი და რაც რამე მოიპოვებოდა, ყველაფერს ის დაეპატრონა. დანარჩენ წევრებს უწინდებურათ შტაბის კარებშიც კი არ უშვებდა და დარაჯათ ბაქოელი ყოჩები ეხვია გარს.

მითვისებული ფულით დაიწყო ყოვლად გარყვნილ-გათახსირებულ ბაქოელი ყოჩების შესყიდვა, რომლებსაც თავი რევოლიუციონერებათ მოჰქონდათ. რა თქმა უნდა, ყოჩები ფულით და მათი თანამოაზრე ხელმძღვანელი პანოვით ადვილათ მოსტყუვდებოდენ და ასეც მოხდა. ორი-სამი კვირის შემდეგ რეშტის აღებისა, რეშტში თავი მოიყარა 300-დე ყოჩმა, რომლებიც პანოვის მაღმერთებელნი შეიქმნენ. რეშტის აღებაში არც ერთ ბაქოელს არ მიუღია მონაწილეობა. ბაქოელები რეშტის აღების შემდეგ ჩამოვიდენ რეშტში და იარაღში გამოწყობილნი ჩვეულებრივ ბაქი-ბუქისა და გარყვნილების მეტს არაფერს არ აკეთებდენ. პანოვს ხელს უწყობდა ცენტრალური კომიტეტის ერთი წარმომადგენელი, რომელთან შეტაკებაც კი მოუხდა ცნობილ მირზა-ალი-მამედ-ხანს. როდესაც პანოვმა საკმარისი ძალა მოიკრიბა, მაშინ აშკარათ დააპირა ყველა საპატიო პირებზედ გალაშქრება: სეპეხტარზე, მუიზამ-სულთანზედ, ენჯუმენზედ და ასე გასინჯეთ, ქართველებზედაც-კი.

„ვინ არიან ქართველები, საიდან მოთრეულან და რა უნდათ მაგათ სპარსეთში“-ო გაიძახოდა პანოვი. მას მიჰბაძეს დანარჩენმა ყოჩებმა. საქმე რით გათავდებოდა ალლახმა უწყის, მაგრამ კარგათ გამოცდილმა და თავის საქმის მცოდნე შტაბის ქართველმა წევრმა, დროზედ გამოუთხარა პანოვის პროვოკატორულ მოქმედებას ძირი და ზომებს იღებდა, რომ დროზედ შეეკვეცა პანოვის თარეშისთვის ფრთები და მკვიდრ მცხოვრებთა—სპარსელების დახმარებით განედევნა არამც თუ რეშტიდან, არამედ—სპარსეთიდანაც-კი; წინაამდეგ შემთხვევაში, ქართველები უკან დაბრუნდებოდენ და სომხებიც არავითარ მონაწილეობას არ მიიღებდენ მომავალ ბრძოლაში. ამ მუქარამ ყველანი დააფიქრა და კითხვის გამორკვევა ქართველებს მიანდო ენჯუმენმა.

20 თებერვალს, როდესაც რუდბარელი ორი წარმომადგენელიც დაბრუნდა რეშტში, მოხდა შეერთებული კრება ქართველ-სომეხ და დანარჩენ კავკასიელთა. რა თქმა უნდა ბაქოელი ყოჩები კრებაზედ არ იყვნენ მიწვეულნი, როგორც პანოვის დამქაშნი. ბევრი იმას ამბობდა, რომ იერიში მიეტანათ არა მარტო პანოვზედ, არამედ—ყოჩებზედაც, მაგრამ ქართველები იმ აზრისა იყვნენ, რომ პანოვის გაძევება უფრო ხელსაყრელი და უხიფათო იყო.

თუმცა მრავალგვარი ცნობები პანოვის ყურამდე მიდიოდა, მაგრამ ის თავისას განაგრძობდა და ყოველ ზომებს ღებულობდა, რომ თავისი გაეყვანა და მთელი რევოლიუციონური ძალების მბრძანებელი გამხდარიყო, რა თქმა უნდა, ქართველების გამოკლებით...

22 თებერვალს ქართველების ხელმძღვანელობით სომხების სკოლის თეატრის დარბაზში მოხდა კრება, რომელზედაც დაესწრენ ყველა გოლწელ-თავრიზელ-სომეხ-ქართველ და ბაქოელი ყაჩაღებიც, თუმცა ერთ მესამედ ყოჩებისა არც კი დასწრებია. ამ კრებას უნდა გაესამართლებინა პანოვი, და თუ ის დამნაშავეთ იქნებოდა ჩათვლილი, სპარსეთიდან უნდა წასულიყო. პანოვი თვით არ გამოცხადდა კრებაზე და არც რწმუნებული გამოგზავნა. კრებამ თავმჯდომარეთ აირჩია კავკასიელი თათარი მოვინისტი მირზა-აბდულა, რომელმაც კრება გახსნა და დამსწრეთ გამოუცხადა კრების მიზანი. თუმცა ბევრმა ილაპარაკა პანოვის სასარგებლოთ, თუმცა ბევრი სხავდა მას სპარსეთის მხსნელათ, მაგრამ ცნობილმა შტაბის წევრმა ქართველმა ყველას სიტყვა გააქარწყლა, ყველას ხმა ჩააკმენდინა და ურჩია დამსწრეთ უფრო ფხიზლათ მიექციათ ყურადღება პანოვისთვის; იგი ურჩევდა სპარსელთ არა ენდობოდენ პანოვს და შეერთებული ძალით გაეძევებინათ პანოვი სპარსეთიდან, რაზედაც უმრავლესობა დასთანხმდა და „იაშასუნ მაშრუტას“ ძახილით კრება დაიშალა.

პანოვი კრების გადაწყვეტილების შემდეგ მაინც არა სცხრებოდა და თავისას განაგრძობდა. ენჯუმენი და სხვა დაწესებულებანიც ღირსეულ ზომებს ვერ ღებულობდა ბაქოელი ყოჩების შიშით და რაც ნებავდათ, იმას სჩადიოდენ. ან ჩვენ წავალთ სპარსეთიდან, ან პანოვი იქნას გაძევებულიო ამბობდენ გურჯები.

რა თქმა უნდა, სპარსელებს ერთი პანოვის გაცლა ერჩიათ 40 ქართველის გაცლას და ეს ასეც მოხდა, თუმცა ცოტა გვიან, რადგანაც ზოგიერთა ვაჟბატონები მაგ., როგორც ც. კ. წევრი რახიმ-ზადე (ეს ის რახიმ-ზადეა, რომელმაც იარაღის ფული მოითხოვა და გაფლანგა) პანოვის მომხრენიც იყვნენ...

ერთ დროს პანოვი (ტანე) თეირანიდან, როგორც თვით კორესპონდენტი იწერება გაზეთ „რუსსკოე სლოვო“-ში

✦ **პოლიტეხნიკუმი თფილისში.** ქალაქის თავის მოადგილე ა. ხატისოვი და გ. თუმანიშვილი კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწეს წარუდგენ და კავკასიის უმაღლეს სასწავლებლის საქმის დაჩქარება სთხოვეს. ნამესტნიკის თანაშემწემ აღუთქვა მათ, რომ ახლო მომავალში ის პოლიტეხნიკუმის დამაარსებელ კომიტეტის სხდომას მოახდენს და სამოსწავლო ოლქის მზრუნველს მიანდობს საბოლოოთ შეიმუშაოს მომავალ უმაღლეს სასწავლებლის ტიპი და შეადგინოს სასწავლებლის ხარჯთ-აღრიცხვაც.

✦ **ქართ. დრამატიულ საზოგადოების** წევრთა საზოგადო კრება შესდგა კვირას, 14 თებერვალს. კრების მიზანი იყო განეხილა საზოგადოების წარსული წლის ანგარიშები და აერჩია ახალი გამგეობა, მაგრამ, რადგან ძველმა გამგეობამ ანგარიშები ვერ წარმოადგინა, ამიტომ ძველის მაგივრათ აირჩა ახალი გამგეობა და დაევალა მას ჩამოართვას ძველ გამგეობას ანგარიშები. ახალ გამგეობის წევრებათ არჩეულნი არიან: თავ. ნ. რ. ერისთავი, ნ. ა. ტარსაიძე, ალ. შიხინაშვილი, შ. მიქელაძე, დ. ნახუცრიშვილი, ა. ი. სარაჯიშვილი, ნ. ქართველიშვილი და ნ. ლორთქიფანიძე. სარევიზიო კომისიის წევრებათ: პ. გ. მამრაძე, დ. მ. დუმბაძე და ალ. რატიშვილი.

✦ **სამტრედიას „პოსადათ“ გადაკეთებენ.** კავკასიის უმაღლეს მთავრობას კავკასიის წარმომადგენლისათვის უცნობებია პეტერბურგში, რომ კავკასიის მთავრობამ უკვე შეიმუშავა კანონ პროექტი დაბა სამტრედიის „პოსადათ“ გადაკეთების შესახებო. სამტრედიაში დაარსდება მარტივი თვითმართველობა. (ნ. რ.)

✦ **წინადადება უარყვეს.** ქალაქის გამგეობამ განიხილა წინადადება ქალაქის მდივნის ჯაბარისა, რომელიც წინადადებას იძლეოდა გაეგზავნათ პეტერბურგში ერთი ექიმი როსკიპობასთან მებრძოლ სიეზდზე დასასწრებლათ. გამგეობამ უარყო ეს წინადადება და საკმარისათ სცნო გაგზავნოს მხოლოდ წერილობითი მოხსენებები ამ საკითხის შესახებ. ამ დადგენილებას გამგეობა ქალაქის საბჭოს აცნობებს.

✦ **ქალაქის გამგეობამ წინადადება** მისცა ფუნიკულიორის საქც. საზოგადოებას დაუყონებლივ შემოიტანოს ქალაქის კასაში 3,200 მ. ,,ზალოგის'' ფულის—10,000 მან. შესავსებათ.

✦ **ჟურნალისტთა კრება,** როგელიც უნდა შემდგარიყო კვირას, 14 თებერვალს წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო გადაიდო. შემდეგი კრება მოხდება კვირას, 21 თებერვალს.

✦ **რედაქცია მიიღო** მოწაფეთა ჟურნალ-ალმანახი ,,სკოლა და ცხოვრება'' № 1, რომელიც ქუთაისში გამოდის.

✦ **სახალხო სახლი.** ოთხშაბათს, 17 თებერვალს, სახალხო სახლში გაიმართება კონცერტი. მონაწილეობას მიიღებს ცნობილი მომღერალი ქალი ვან-ბრანდტი. წარმოდგენას მუსიკალური საზოგადოება გამართავს.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის თაოსნობით ამ დღეებში სახალხო სახლში, მასწ. ვერესოვი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „ალკოგოლიზმი და ალკოგოლიზმის შედეგები“.

✦ **ლექცია სახალხო სახლში.** კვირას, 14 თებერვალს, სახ უნივერსიტეტის სასარგებლოთ ნ. ა. ერმოლაევმა წაიკითხა ლექცია „პოლიტიკურ ეკონომიაზე“ ლექციას ხალხი ბლომათ დაესწრო. ლექციის შემდეგ გაიმართა კონცერტი.

✦ **ვაგონის დაჯახება.** კვირას, 14 თებერვალს, ტრამვაის ვაგონი № 36, რომელიც ვატმანს ოგ. აკოფიანცს მიყავდა, სახ. სახლის მახლობლათ თელავის მაზრის მცხოვრებს გ. გიგაშვილს დაეჯახა, რომელსაც თავის ქალა, ხელი და ფეხი დაუზიანა. დაჭრილი მიხ. საავათმყოფოში გაგზავნეს.

✦ **ახალი ცენზურა.** პოლიცმეისტერმა განკარგულება მოახდინა, რათა დრამატიულ ნაწარმოებებს, კუპლეტებსა და სხვას, არტისტები არ ამახინჯებდენ და ცენზურის მიერ ნებადართულ ტექსტს თავისებურათ არ გადმოსცემდენ ხოლმე. წინააღმდეგ შემთხვევაში, დამნაშავეთ პასუხისგებაში მისცემენ.

✦ **უბნის ზედამხედველების ეგზამენები.** პოლიცმეისტერმა ბოქაულებს აცნობა შეატყობინონ უბნის ზედამხედველებს, რომ დღეის შემდეგ ყოველ-თვიურათ მათ გამოსაცდელი ეგზამენები დაენიშნება და წარმატება სამსახურში ამ ეგზამენებზე იქნება დამოკიდებულიო.

✦ **ყალბი ფულები.** პარასკევს, 12 თებერვალს ალექსანდროპოლის მაზრის ს. ჩიზიხლიარის მცხოვრებლებმა ა. პეტროსოვმა, ე. ადამოვმა, მ. ტარასოვმა და ტ. ტერ-სიმონოვმა პოლიციას განუცხადეს, რომ დღეს კახეთის ქუჩაზე ორმა ახალგაზრდამ მათ პალტო შესთავაზეს სასყიდლათ; პალტოს სანახავათ ისინი ყველა გორის მაზრის მცხოვრ. ტ. ბ. ბროძელის სახლში № 29 მივიდენ. ჩაი დალიეს და დაიძინეს. ძილის დროს მათ ვიღაცამ 1300 მანეთი ამოართვა ჯიბიდან, პოლიციამ ბროძელი დააპატიმრა. მან განაცხადა, რომ 10 თებერვალს მის ბინაზე მივიდენ ა. ატოევი, პაველი და ზემოხსენებული პირნი, რომელთაც ატოევის სიტყვით, უნდოდათ მისგან ყალბი ფულის ყიდვა. ატოევმა მათგან 300 მ. მიიღო. ბროძელს აქედან 30 მ. მისცა და შემდეგ თავის ამხანაგებთან ერთათ მიიმალა. ზემოდასახელებული 4 კაცი, გამოძიების ჩვენებით, ყოფილან ატოევიდან ყალბი ფულის მყიდველნი. ატოევს მათგან მიუღია 300 მ. და არა 1300 მ., როგორც მათ განუცხადეს პოლიციას.

## ,,ჯეჯილის'' ოცი წლის იუბილე.

კვირას, 14 თებერვალს, ქართულ თეატრში დილით გადახდილ იქნა ჟურ. „ჯეჯილის“ 20 წლ. დღესასწაული.

დღესასწაულს ხალხი ბლომათ დაესწრო, უმეტესად ბავშვები.—ეტყობოდა, რომ ეს დღე ნამდვილ საბავშო დღესასწაულს წარმოადგენდა. ბავშვების სიხარულს ფრთა შესხმოდა, მათ ტაშსა და ჟრიამულს საზღვარი არა ქონდა.

პირველ საათზე ფარდა აიხადა და სცენაზე დავინახეთ პატარა ბავშვები—ქალები. ისინი სტოლს მოსხდომოდენ: საბავშო ვოდევილს—„მდგმურს“ ადგენდენ, რომელიც ერთ დროს ჟურ. „ჯეჯილში“ იყო დაბეჭდილი. საუცხოვო და სიამის მომგვრელი იყო სცენაზე ბავშვების თამაში. თავისუფლათ თავის დაჭერა, შეგნებული და გარკვეული ლაპარაკი, აუჩქარებლობა, თავ-თავის დროზე და შესაფერ ადგილას ხმის აწევ-დაწევა, ინტონაცია ლაპარაკში, გონივრული მიხვრა-მოხვრა და ჟესტიკულიაცია, როლების კარგი ცოდნა—ერთი სიტყვით, ბავშვების ნამდვილი ხასიათი, ზნე-ჩვეულება მათი სიმკვირცხლე და დაუდლეგლობა-ცელქობა — ყოველივე ეს ისე ბუნებრივათ, ისე უნაკლოთ შეასრულეს ბავშვებმა, რომ მაყურებელი საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანეს და პატარა არტისტები ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვეს.

ვოდევილ „მდგმურს“ მოჰყვა კრილოვის იგავ-არაკები. არაკებსაც ბავშვები ადგენდენ. ყველა მომქმედი პირები გრიმებში გამოდიოდენ. სცენა ყოველი არაკის შინაარსის მიხედვით იყო მოწყობილი: „მგელი და კრავი“,—კლდიდან მოჩუხჩუხე ანკარა წყალი—მდინარე, მდინარეში კრავი და მის ახლო გამწყრალი მგელი, მგლის მიერ კრავის მოტაცება და სხვა..., აგერ დიდი ტყეც, ხის ტოტზე ჩამომჯდარი ყვავი-ყვანჩალა, ყვავი ყველის საუზმეს შეექცევა, აგერ მელიაც მოცუნცულობს, შეჩერდება და ყვავს შეაქებს, ყვავი დაიჩხავლებს, ყველი პირიდან გავარდება, მელია ყველს მოიტაცებს და გარბის. აგერ „დათვის წვეულებაც: «მელა ტაშს უკრავს, დათვი დაძუნძულებს, ცეკვავს. არაკები ზეპირათ კარგათ იცოდენ ბავშვებმა და შეძლებისა და გვარათ კარგათაც წარმოადგინეს. მესამე განყოფილებაში პირველათ სკრიპკა დაუკრა ბავშმა—პალცევმა, რომელმაც საზოგადოება დიდათ ასიამოვნა და რამდენჯერმე გაამეორებინეს. შემდეგ ამისა იგალობა ბავშვთა ხორომ მასწ. ნატრაძის ლოტბარობით. იმღერეს „დელა“, „ყანური“, „ბიჭო, ვისი ხარ მალხაზო“ და ,,ჰარალე“. სიმღერის დროს გაიმართა ბავშვების ცეკვა-თამაში, ლეკური: ტაშისა და ვაშას ძახილს საზღვარი არ ქონდა. საუცხოვო სანახაობას წარმოადგენდა „ცოცხალი სურათი“.—ქართ-ულათ ტანთ-ჩაცმული ქალი და ბავშვები. ბავშვს ხელში გაშლილი ,,ჯეჯილი'' უჭირავს, ზოგი მხართეძოზე წამოწოლილია, ზოგი ზის და „იზარდე მწვანე ჯეჯილოს« მღერიან. ხშირათ მზის შუქი მოსავს მათ, აფერადებს. სურათმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და განიმეორეს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ წარმოდგენებმა უნაკლულოთ ჩაიარა; ეტყობოდა, რომ ხელმძღვანელთა და ბავშვებსაც ბევრი უშრომიათ და მათმა შრომამ არც უნაყოფოთ ჩაიარა. ხალხი ნასიამოვნები დარჩა.

უკანასკნელათ გაიმართა მილოცვები. ფარდა აიხადა. სცენაზე ბლომათ იდგა ქალი, კაცი და ბავშვები. გვერდით სავარძელი იდგა. ცოტა ხნის შემდეგ სცენაზე ანასტასიაც გამოჩნდა, რომელსაც გვერდით თან ბელეტრისტი ქალი ეკ. გაბაშვილი მოუყვებოდა. „ჯეჯილის“ 20 წლის არსებობა მას პირველათ ლ. ბოცვაძემ მიულოცა წ. კ. გ. საზოგადოების სახელით. აღნიშნა ანასტასიას ღვაწლი „ჯეჯილის“ გამოცემის საქმეში და დაუმატა: მთელი ჩვენი ახალი თაობა, რომელშიაც დღეს ლიტერატორნი და სხვა საზოგადო მოღვაწენიც საკმაოდ მოიპოვებიან, გიმადლიან შენ, ძვირფასო ანასტასია, რადგანაც მათ პირველათ „ჯეჯილში“ აიხილეს თვალები, გაიწაფეს ენა, შეეჩვიენ კითხვასო“. შემდეგ ამისა ქალაქის თვითმართველობის სახელით სიტყვა წარმოსთქვა ქალაქის თავის მოადგილე ა. ხატისოვმა. მანაც აღნიშნა ანასტასიას შრომა და ღვაწლი „ჯეჯილის“ გამოცემის საქმეში, და სხვა და სხვა საზოგადო საქმეებში: როგორც მაგალითად „ყაზბეგის სახელობის სკოლისა“ და „თფ. მასწავლებელ ქალთა საზოგადოების'' დაარსება და ბოლოს სთქვა: ,,შენის დახმარებით დაარსდა თფილისში ჟურნალი ,,კვალი'', ის ,,კვალი'', რომელიც ძლიერ შუქათ შეიჭრა ჩვენს საზოგადოების აზრთა სალაროში, არა ერთი-ორი მწვავე საჭირ-ბოროტო საკითხი წამოაყენა, გადაჭრა მან და ირგვლივ შემოიკრიბა ნიჭიერნი ლიტერატორნი და საზოგადო მოღვაწენიო, შენი ,,ჯეჯილის'' ოცი წლის არსებობამ ბევრი გონივრული საზრდო შემატა ქართველ საზოგადოებას, ასწავლა მშვენიერი ქართული ენა და ამიტომ ჩვენ და თქვენც პატარა მკითხველებო ვალდებულნი ვართ ერთათ ვთქვათ: „გაუმარჯოს ანასტასიას, დიდხანს იცოცხლოს ჩვენდა გასახარათ“. სიტყვები წარმოსთქვეს და მიულოცეს: თფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წარმომადგენელმა, საქ. საისტორიო და საეტნოგრაფიო საზოგადოებისაგან, ჟურნალ „ნაკადულის“ სახელით. მილოცვა წაიკითხა ნ. ნაკაშიძემ. სიტყვა სთქვა სომხურ საბავშო ჟურნალის რედაქტორ-ქალმა, თფ. ჟურნალისტთა, ქართულ დრამატიულ საზოგადოებისაგან ადგილობრივ რუსულ-ქართულ-სომხურ რედაქციებისა და გაზეთ „ახალი სხივის“ წარმომადგენელმა, რომელმაც, სხვათა შორის სთქვა: ,,ბევრი დაბრკოლება გინახავს ძვირფასო დედა, ანასტასია, ბევრი ნარ-ეკალი გიფარავდა გზას, ბევრჯერ გტკენია გული, მაგრამ ერთხელაც უკან არ დაგიხევია და ენერგიულათ წინ მიდიოდი ერთხელ არჩეულ გზითო“. გრძნობიერი იყო პატარა ქალის მიერ წაკითხული სიტყვა: ჩვენო ძვირფასო დიდედა ანასტასია! შენ მიერ და-

---

ვითომ ის, როგორც დაუძინებელი მტერი მამედ-ალი შახისა, თეირანიდან რუსის კონსულმა გააძევა, ე. ი. სპარსეთში ცხოვრება აუკრძალა. აგრეთვე ვითომ ის პოლკოვნიკმა ლიახოვმა ყაზახთა ბრიგადის აფიცრათ მიიწვია, რაზედაც არ მახსოვს, რომელ გაზეთში ლიახოვმა საწინააღმდეგო წერილი მოათავსა. ყველა ეს ცნობები პანოვისა „რუსსკოე სლოვო“-ს საშვალებით გავრცელებული, სიცრუე გამოდგა. თუ პანოვი თეირანიდან მართლა გაძევებულ იქნა, ეს ყველაფერი ლიახოვისა და მისი პოლიტიკა იყოთ. პანოვს სურდა ამგვარი გაძევ-გამოძევებით ვითომდა როგორც რევოლიუციონერი, მოეპოვებინა ხელსაყრელი ავტორიტეტი, ხელში ჩაეგდო საკმარისი ძალა რევოლიუციონერებისა და შემდეგ რასაც იზამდა, მარტო თვით პანოვმა უწყოდა! მაგრამ პანოვი მოსტყუვდა, მას დროზე მიუხდენ და პირში ჩალა გამოვლებული დასტოვეს. ამავე დროს დროშაკელებმა მიიღეს კავკასიიდან წერილი, რომელთაც ატყობინებდენ შემდეგს: „პანოვი, სტეფან ფანორანცი ა ს. ვერხნი-აკულისიდან. პანოვის არა კეთილსაიმედობა დამტკიცებული იყო 1905 წელს. მაშინ მან სპარსეთში გაქცევით უშველა თავს. ნუ ენდობით მას ნურაფერშიო“. ეს წერილი დროშაკელებმა ჩვენც წაგვიკითხეს. ქვევით კიდევ ვიტყვით პანოვზე ცოტა რამეს, სადაც კიდევ ცოტა რამ მისი პიროვნების დამახასიათებელი გამოაშკარავება. ეხლა კი დავუბრუნდეთ თეირანის გზაზე მყოფ რევოლიციონერთა რაზმს.

29 თებერვალს რუდბარში მყოფმა რაზმმა ბანაკი გამოიცვალა. წინ წაიწია თითქმის 20 ვერსტით და სოფელ მენტილში დაბანაკდა გზის პირას მდებარე ქარვასლებში და 10 ვერსით კიდევ წინ ს. ბალა-ბალაში ახალი საფრებიააშენეს. თორმეტ მარტამდე, როგორც რეშტში, აგრეთვე თეირანის გზაზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა, გარდა იმისა, რომ რეშტში დაატყვევეს ოსმალეთიდან დაბრუნებული მამედ-ალი შახის ძმა ოდესმე პრეტენდენტი ტახტისა შუა-სალთანე, რომელსაც ოთხი ახალი სისტემის თოფი წაართვეს. ენჯუმენმა თავის მხრივ 5000 თუმანი თათრული ფული გადაახდევინა, და, როგორც ავათმყოფს, თეირანში წასვლის ნება დართო. შუა-სალთანე ოთხმა რეშტელმა ქართველმა რაზმელმა რუდბარამდე ოსმალეთის კონსულის ხალილოსის და გიორგი სტრამბულის თანხლებით მიაცილეს, სადაც გადასცეს მოწინავე რუდბარის რაზმს, რომელსაც ამოუსხდენ გვერში და წინ გასწიეს. რუდბარელ გამცილებელ ჯგუფში მეც ვიყავ. ორი რაზმელით, ცხენებით შუა-სალთანეს ეტლს წინ გავყევით. შუა-სალთანე მშვიდობით მივაცილეთ მენტილის ხიდამდე. ის გამოთხოვებისას ეტლიდან ჩამოხტა, სამივე სათითაოთ გულში ჩაგვიკრა და სურათები გვთხოვა. გვთხოვა აგრეთვე, თუ ცოცხალი დავრჩებოდით თეირანში ვწვეოდით.

შუა-სალთანე მშვიდობიანათ გასცილდა მენტილის ხიდს, დანარჩენები კი უკან რუდბარში დაბრუნდენ. სოფელში კონსული ხალილოსი მივიწვიეთ სადილზე, რომელიც სიამოვნებით დაგვეთანხმა და სამი საათი ჩვენთან დაჰყო, შემდეგ საპატიო დარაჯთა თანხლებით რეშტისაკენ გავისტუმრეთ...

18 მარტს თეირანის გზის ფოსტის სარგურ იუზბაშჩაიდან, მენტილში მყოფ რაზმს შეატყობინეს ტელეფონით, რომ ქურთების სოფლებში იუზბაშჩაის სიახლოვით, ჩამოვიდა ყაზვინის მთავარ სარდლის კიაზ-ნიზამის შვილი გენერალი ნასირ-ხანი თავისი რაზმით, რომელიც ძალით აგროვებდა ქურთებს, აიარაღებდა აწიოკებდა მათ ოჯახებს, რომ ქურთები მას მიმხრობოდენ და შეერთებული ძალით რევოლიუციონერებზე გაელაშქრათ. თვით ნასირ-ხანი, ტელეფონით აშკარათ ემუქრებოდა მენტილში მყოფ რაზმს და ასე ამბობდა: „მე მზადა ვარ სამაგიერო პასუხი გავსცე ვიღაც ურჯულო გურჯებს. მათ მე გილანელი არ ვეგონო. ვინც კი გაჰბედავს იუზბაშჩაის ხიდის ერთი ფეხით აქეთ გადმოდგმას, ვნახოთ რა დღეს დავაყრიო“.

საღამოს სამი საათი იყო, როდესაც ორმოცი ცხენოსანი რაზმელი მზად იყო იუზბაშჩაიში ნასირ-ხანთან საბრძოლველათ გამზადებულნი. რეშტის შემდეგ რევოლიუციონერებს არავითარი შეტაკება არ მოსვლიათ მტერთან და აი, ახლა ყველა ექსტაზში მოიყვანა ნასირხანთან მოსალოდნელმა ბრძოლამ. რევოლიუციონერებში ბევრი ახალი ჩამოსული კავკასიელი ქართველი და სომეხი იყო და ამ ახალ ჩამოსულებს კიდევ უფრო ეხალისებოდათ ბრძოლა.

რევოლიუციონერებს ეგონათ, რომ ნასირ-ხანს საკმარისი ძალა ეყოლებოდა მათთან გასამკლავებლათ, მაგრამ მოსტყუვდნენ. ნასირ-ხანს სულ ხუთმეტი კაცი ჰყოლოდა. საღამოს ოთხ საათზედ წამსვლელი რაზმი გამოეთხოვა დარჩენილთ, ააფრიალა წითელი დროშა და გაუდგა გზას. მენტილიდან იუზბაშჩაემდე სულ 62 ვერსის სიშორე გზა არის, რომელიც მთა-მთა მიჰყვება და ძალიან საფრთხილოც არის.

რაზმმა მშვიდობით გაიარა სადგურს, სოფელი ბალა-ბალა, ლუიშანი, მულლაალი და ღამის ორ საათზე შეუდგა იუზბაშჩაის მიკიბულ-მოკიბულ მთებში გზას. ეფრემი რაზმს უკან ჩამორჩა, რომ ტელეფონით გაეგო მტრის ბინა. საშინელი ბნელი ღამე იყო. დაღალულ-დაქანცული რაზმელები შორი-შორს იყვენ ჩამორჩენილები. ცხენებს სიმწრის ორთქლი ასდიოდათ. მზვერავი ჯგუფიც კარგა მოშორებით იყო რაზმზე. რაზმსაც სიბნელის გამო გზა აერია და კლდეებში დაიფანტა. მოულოდნელად გავარდა ხელმძღვანელის თოფი, რასაც ზედ მოჰყვა „სვისტოკის“ ხმა. დაფანტული რაზმი დროზედ შეიკრიბა და კვლავ გასწია წინ. მალე მას წინ შეეგება დამზვერავი ჯგუფი და აცნობა მტრის ბანაკი. ის იყო მტრის ბანაკამდე ერთი ვერსი-ღა დარჩა რაზმს, რომ ეფრემიც წამოეწია მას. რაზმი გაიყო ორათ. ქართულ-რუსული ენების მცოდნე გაჰყვენ ერთს „გურჯს“, თათრულ-ფარსულ-სომხურისა ეფრემს. რაზმს რუსის გზის სადარაჯოსთან გზა შეკრული დახვდა, „ქიაზ“ (ვინ არის) მოისმა ხმა გზის დარაჯისა. „ურუს ყაზახ“—(რუსის ყაზახები) იყო პასუხი, რის გაგონებაზედაც უმალ ახსნა დარაჯმა გზა და რაზმი ჭენებით გაქანდა წინ.

ქარვასლა, სადაც ნასირ-ხანი იმყოფებოდა, კარგად არავინ იცოდა, მაგრამ ჩირაღდნებზე იცნეს იგი. მალე რაზმი გაუპირდაპირდა ქარვასლას და მოულოდნელად გავარდა ხელმძღვანელის მაუზერი, რასაც ზედ მოჰყვა შეუწყვეტელი სროლა. მალე ყველა მხრიდან რაზმი ქარვასლას შემოერტყა. გაჩაღდა ბრძოლა ორივ მხრიდან და ზურგს უკნიდან ტყვია ზუზუნით მოდიოდა. თურმე ნასირ-ხანის რაზმი მთებში რაზმის ზურგს უკან იყვენ ჩასაფრებული და იქიდან ისროდენ ტყვიას. გილანელებიც მთისკენ გაიქცენ, თავზედ წააწყდენ ნასირ-ხანის რაზმს და მათთან ერთად ისე აერიათ გონება, რომ ამხანაგებისაკენ ისროდენ თოფს მაგრამ სიბნელე ხელს უშლიდა მათ და ტყვია უვნებლად იკარგებოდა.

ნასირ-ხანი გენერალ იბრაგიმ-ხანითურთ ქარვასლის გარეთ კუნჭულს ამოფარებოდენ და თოფები მზათ ეჭირათ, რომ მათ საიდგანღაც თავს წააწყდა ამხანაგებისაგან ეგრეთ წოდებული „ავარა ვასო“ რომელმაც მოურებლად ნასირ-ხანს თოფში უტაცა ხელი და ამხანაგებს დაუძახა—„მიშველეთო“. იქვე მდგომმა რაზმელმა ნასირ-ხანს რევოლვერი დაახალა და უსულოდ დასცა მიწაზედ.

ქვემო შესავალ ალაყაფის კარისაკენაც ვიღაც მიფოფხავდა „ქიმ სან“? (ვინა ხარ) მაგრამ ხმას არავინ იღებდა. გავარდა თოფი და რაღაც გაიშხლართა მიწაზე. რაზმელები გაექანენ ალაყაფისაკენ. სროლა მთიდან მაინც არ სცხრებოდა. კავკასიელებმა ბევრი უყვირეს გილანელებს, სროლა შეეჩერებინათ, მაგრამ ამაოდ—, მაშინ მათ გილანელებსაც ესროლეს თოფი, რომელნიც მიიმალ—მოიმალენ. კავკასიელებს ეგონათ ქარვასლაში ჯარი დაიმალაო, რის გამოც ყუმბარა გადააგდეს. იგრიალა პირველმა ყუმბარამ. გრიალზედ სროლა შეჩერდა. მთაში ჩასაფრებული მტერი გაიქცა. კიდევ გადააგდეს სამი ყუმბარა, რის შემდეგაც რაზმი შევარდა ქარვასლაში და დაიწყეს ჩხრეკა.

მძიმედ დაჭრილი იბრაგიმ-ხანი კარებს უკან დამალულიყო, რომელსაც იარაღი მოსთხოვეს, მაგრამ დამალა. ის მაინც გაჩხრიკეს და ზედ აღმოაჩნდა რევოლვერი 30 პატრონათი იბრაგიმ-ხანი ბევრი ემუდარა რევოლიუციონერებს ნუ მომკლავთო, მაგრამ იქ მყოფმა გლეხებმა ითხოვეს, როგორც მტარვალი ცოცხლად არ გაუშვათ. მოისმა ხელმძღვანელის ხმა, რის შემდეგ ის იქვე დახვრიტეს. თუმცა რაზმმა სულ მთლად გაჩხრიკა ქარვასლა, მაგრამ ერთი ყაზვინის ჟანდარმთა პოლკოვნიკის მეტი და შეშინებული მგზავრი გლეხებისა, რომელნიც სროლაზე დამალულიყვენ სხვა ვერავინ ნახეს. პოლკოვნიკი დააპატიმრეს.

რევოლიუციონერებს ხელში ჩაუვარდათ ოვა ძვირფასი ცხენი, ოთხი თოფი საკმაო პატრონებით, ასი ფუთი ქერი და ხანებისთვის მოამზადებული ვახშამი.

ცხენები კავკასიელებმა გაიყვეს, რამაც ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია გილანელებში, რომლებსაც ცხენების ჩაგდება სურდათ, რომ ბრძოლის დროს კარგი ცხენით უფრო ადრე უშველიდენ თავს; რადგანაც გილანელებს კავკასიელებმა ცხენები არ მისცეს, რამდენიმე გილანელი მოღალატე შეიქნა, რაზმს გაეპარა და ყაზვინში მყოფ შახის ჯარს შეუერთდა, რამაც მითქმა-მოთქმა და მათი ძებნა გამოიწვია.

ნასირ-ხან—იბრაგიმ-ხანის ნაყმევმა გლეხებმა, როდესაც გაიგეს ხანების დახოცვა სამასამდე კაცმა მოიყარა ქარვასლასთან თავი და თვალცრემლიანები მადლობას უძღვნიდენ რაზმს, რომ არც ერთი ცოცხალი არ გაუშვეს.

„ალარა გვქონდა ჩვენო მზენო მათგან მოსვენება. რაც გვებადა ძალით თუ ნებით ყველაფერი წაგვართვეს ოჯახი აგვიწიოკეს და ეხლა ძალათ გვერეკებოდენ თქვენთან საბრძოლველათ, მაგრამ თქვენ მოგვისწარით და დაგვიხსენით მოსალოდნელ წამებისაგან. დღეის შემდეგ ჩვენც თქვენთან ერთად დავიხოცებით და რამდენიმე ახალგაზრდა ქურთი მაშინვე შეუერთდა რაზმს.

**გურჯი სერგო.**

(შემდეგი იქნება.)

თესილი „ჯეჯილი“ ამოვიდა და აჰა, მოგიძღვნით, მიიღეთ ჩვენგან საჩუქრათაო. ჩვენ გვიყვარს „ჯეჯილი“, გვიყვარხარ შენც, ძვირფასო დიდედა, ნება მოგვეცი შენს შემდეგ შენსავით ჩვენ უვლიდეთ „ჯეჯილს“, ჩვენც დავიზრდებით და დავაპურებთ „ჯეჯილს“. საჩუქრათ მიქონდათ ყვავილთა კონები, წიგნები და სხვ. შემდეგ ამისა წაიკითხეს მისალოცი დეპეშები: ქუთაისიდან, ბათუმიდან, ხონიდან, სიღნაღიდან, ვაჟა-ფშაველასაგან, იაკ. გოგებაშვილისაგან, ბევრ სხვა კერძო პირთაგან, ქართულ წარ ოდგენების წრისაგან და ქუთაისის ქალთა წრისაგან, რომელიც სთხოვს ანასტასიას 26 თებერვალს ქუთაისში „ჯეჯილის“ იუბილეის დაესწროს.

ნაშუადღევის 4 ს. მილოცვა გათავდა. ხალხი მეტათ ნასიამოვნები დაიშალა.

ბ.

# უკანასკნელი ფოსტა

## საზღვარ-გარეთ

სერებრიაკოვას თხოვნა. პარიზიდან იტყობინებიან, რომ ქ. სერებრიაკოვამ ს. რ. ცენტრალურ კომიტეტს მიმართა თხოვნით, რომ პარტიული სასამართლო დაინიშნოს მის გასასამართლებლათ. სერებრიაკოვას ქალს ბურცევი პროვოკატორობას აბრალებს.

ცენტ. კომიტეტმა მისი თხოვნა დააკმაყოფილა. სასამართლო შესდგება ბურცევის ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ.

გაფიცვა პენსილვანიაში. ქ. ფილადელფიაში გაიფიცენ ტრამვაის მუშა-მოსამსახურენი. პოლიციამ გაფიცულ მოსამსახურეთა ხელმძღვანელი დაატუსაღა. მუშათა კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადა.

ინგლისის პალატაში. ასკვიტის სიტყვამ რადიკალები ვერ დააკმაყოფილა. მათი აზრით სამინისტროს პრესტიჟმა დაიწია. სამინისტროს რამდენიმეთ ამაგრებენ ირლანდიელები. ამ უკანასკნელთა სახელით რედმონდმა განაცხადა, რომ ირლანდიელებს სამინისტროს გადაყენება არა სურთო. უნიონისტებიც ფიქრობენ, რომ სამინისტრო მალე არ დაეცემა.

ბებელის იუბილე. გერმანულმა გაზეთებმა წერილები უძღვნეს და ბებელის სურათები მოათავსეს მისი 70 წლის იუბილიარის სახლი მეგობრებმა და პატივისმცემლებმა მთლათ ყვავილებით შეამკეს. პარტიულ გაზეთების წარმომადგენლებმა, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და პარტიულმა სკოლამ დიდძალი საჩუქრები მიართვეს ბებელს და მის მეუღლეს. კიოლნის პარტიულმა გაზეთმა იუბილიარს გამოუგზავნა სურათი იმ ყაზარმისა, სადაც ბებელი დაიბადა და ყმაწვილობა გაატარა. ერთმა ფრანკფურტელმა მეგობარმა ბებელს დემოსთენის მარმარილოს „ბიუსტი“ მიართვა. მოხუცებულმა ტრეგერმა (თავისუფალი მოაზრე) „ბერლინერ ტაგებლატში“ მეგობარ ბებელს მგრძნობიარე ლექსი უძღვნა. ყოველი კუთხიდან უთვალავი მილოცვები მიდის ბებელს.

## ახლო-აღმოსავლეთი

მდგომარეობა საბერძნეთში. საბერძნეთის პარლამენტმა გადასწყვიტა რაც შეიძლება გააჩქაროს საერთო კრების მოწვევის საქმე. სამხედრო ლიგა ამის წინააღმდეგია და განზრახვა აქვს საერთო კრების მოწვევას არ დაუცადოს და ძირითადი ცვლილება მოახდინოს სახელმწიფოს წეს-წყობილებაში. დრაგუმისის მოთხოვნით მეფემ დეპეშა გაუგზავნა ბრინდიზში მოსულ კრონ პრინცს, რომ საბერძნეთში არ მივიდეს. ლედროფალი კი, პირიქით, მოითხოვს პრინცების სამშობლოში დაბრუნებას. დიპლომატების აზრით მეფე უარს იტყვის ტახტზე.

აბდულ-გამიდის ავათმყოფობა. სალონიკიდან გაზეთ „ბაქოს“ დეპეშით ატყობინებენ, რომ აბდულ-გამიდი ჭკუაზე შეიშალა: მან რამდენჯერმე სცადა თავისი ლოგინისათვის ცეცხლი მოეკიდებია და გაიძახოდა: „ვსწყევლი ახალგაზდა ოსმალებს“-ო! ექსსულთანმა შეურაცხყოფა მიაყენა ოფიცერს და მოითხოვდა არამხანის დაბრუნებას.

საბერძნეთის მზადება. სტამბოლის გაზეთების ცნობით საბერძნეთი საომრათ მზადებას განაგრძობს. თავისი არმიისათვის საბერძნეთი დიდძალ ცხენებს ყიდულობს ოსმალეთში, სმირნას ვილაიეტში. ადგილობრივი ახალგაზდა ოსმალთა გაზეთი მოუწოდებს მცხოვრებთ და ურჩევს ცხენები არ მიყიდონ ისეთ სახელმწიფოს, რომელთან შესაძლებელია ოსმალეთს ომი მოუხდეს. მიუხედავათ ამისა, მცხოვრებნი ცხენებს მაინც ყიდიან.

ორ ცეცხლს შუა. საბერძნეთის მეფის მდგომარეობა ამ ჟამათ ძალიან კრიტიკულია. დღემდე მეფე გიორგი სამხედრო ლიგის ბრძანებას ემორჩილებოდა. ახლა სამხედრო ლიგის წინააღმდეგ ხალხში აშკარა მოძრაობა დაიწყო. ხალხი უკმაყოფილოა ოფიცერთა ლიგის მოქმედებით, რომელმაც თავის ძლიერებას დაუმორჩილა მეფეც, ქვეყანაც და პარლამენტიც. გაზეთებმა აღნიშნეს ხალხის უკმაყოფილება, რამაც გამოიწვია მათი სასტიკი ცენზურა. საზღვაო ოფიცრებს, რომელნიც არმიის ოფიცრების წინააღმდეგ მოქმედებას აპირებდენ, თვალყურის მდევნელები მიუჩინეს. თვით ოფიცერთა ლიგაში ზომიერი ჯგუფი დაუზოგველათ ებრძვის რადიკალურს. მეფე გიორგიმ აღარ იცის რა ქნას: დარჩეს უენო იარაღათ ოფიცერთა ლიგის ხელში და პარლამენტში ნაჩქარევათ გატარებულ კანონპროექტებს აწეროს ხელი, თუ ოფიცერთა ლიგის წინააღმდეგ დაწყებულ სახალხო მოძრაობას მიემხროს? გაზეთების გადმოცემით საბერძნეთში სამოქალაქო ომი აუცილებელია.

## რკინის გზის მუშა მოსამსახურეთა საყურადღებოთ.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მთავარ ლიანდაგზე (ბაქო-ბათუმი) სამი-ოთხი თეატრის შენობაა, სადაც დრო-გამოშვებით იმართება ადგილობრივ სცენის მოყვარეთაგან იაფფასიანი წარმოდგენები; თუმცა წვრილ მოსამსახურებს და მუშებს დროც აქვთ და საშუალებაც ამ წარმოდგენებით ისარგებლონ, მარა, სამწუხაროთ, სხვილი მოხელე და მათი ოჯახობა მეტს სარგებლობენ, ვიდრე წვრილი და მათი ოჯახობა. აქვთ აგრეთვე რამოდენიმე ბიბლიოთეკა-სამკითხველო, სადაც იმასვე ვხედავთ, რასაც თეატრში, ხოლო ალაგ-ალაგ არც ერთი იწუხებს თავს და არც მეორე და ამრიგათ, ეს ერთათ-ერთი გონების საზრდო სიკვდილის პირზეა მიმდგარი. რადგანაც დიდი უმრავლესობა მუშა-მოსამსახურეებისა დამორებულია იმ მთავარ პუნქტებს, სადაც თეატრი და სამკითხველო არსებობს. (ბაქო, განჯა, მიხაილოვო და სამტრედია) ამისათვის რკინის გზის მთავრობამ ჯერ კიდევ 27 ნოემბერს 1907 წ. დაარსა მოძრავი ბიბლიოთეკა: ერთ გრცელ ვაგონში გააკეთა თაროები წიგნების დასაწყობათ, შეიძინა მრავალი წიგნები, დაიქირავა ბიბლიოთეკის გამგეთ ისეთი პირი, რომელსაც გული შესტკივა ასეთი საქმისადმი. ეს მოძრავი ბიბლიოთეკა დადის ბათუმიდან ბაქომდე ყველა სადგურებზე თვეში ორხელ ჩამოივლის, სადაც დიდი სადგურებია იქ საკმაო დროს ჩერდება და მით ყველა მოსამსახურეს საშუალება ეძლევა წიგნებით ისარგებლოს. თითოეულ სადგურზე გამოკიდულია განცხადება, სადაც აღნიშნულია დრო, როდის გაივლის ამა თუ იმ სადგურზე ეს ვაგონი — ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკიდან წიგნების სარგებლობა ოთხ კატეგორიათ არის დანაწილებული: 1-ლ თვეში იხდის ექვს შაურს და მიაქვს საკითხავათ სამი წიგნი, მე-2 — იხდის ერთ აბაზს და მიაქვს ორი წიგნი, მესამე — იხდის ორ შაურს და მიაქვს ერთი წიგნი (თუ ვაგონის მეორეთ ჩამოვლამდე წააკითხავს წაღებულ წიგნი, შეუძლია სხვა წაიღოს უფასოთ). ხოლო მეოთხე კატეგორიის პირთ თითო წიგნს თვეში უფასოთ ეთმობა, ეს მაშინ თუ ის პირი თვეში ჯამაგირს ოცდა ხუთ მანეთზე ნაკლებს დებულობს. ამ ბიბლიოთეკას აქვს შედგენილი კატალოგი, სადაც აღნიშნულია რუსულ-ქართული წიგნები, მათი შინაარსი და ავტორის გვარები; (თითოეულ პირს ნება აქვს განიხილოს ეს კატალოგი და თუ რომელიმე ისეთი წიგნი აკლია, რომლის მოთხოვნილება არის მოსამსახურეებში, ასეთი წიგნების სია შეიტანოს ამ მიზნისათვის არსებულ წიგნში და როდესაც ასეთი წიგნების რიცხვი შეგროვდება, გამგეობა იძენს მას და სიას ახალ შეძენილი წიგნებისას აცხადებს) ბიბლიოთეკაში თითქმის ყველა რუსულ ქართული წიგნებია, თარგმანებიც ბევრია. აქ ნახავთ ისეთი მწერლების წიგნებს, როგორიცა ბებელი, ბოგდანოვი, გ. ზასულიჩი და სხვები.

ბიბლიოთეკის წიგნები თავისი შინაარსის მიხედვით 15 განყოფილებისაგან შესდგება. 1) განყოფილებაში შედის ბელეტრისტული ნაწარმოები 1186 წიგნია; 2) განყ. საბავშვო წიგნები, 287 ცალი; 3) სარწმუნოება და მისი ისტორია, 18 წიგნია; 4) ფილოსოფია, ეთიკა, ლოღიკა, ფსიხოლოგია და სხვა ამგვარი 42 წიგნი; 5) კრიტიკა, ისტორია ხელოვნებისა და ლიტერატურისა და პუბლიცისტიკა 66 წიგნი. 6 მსოფლიო და რუსეთის ისტორია, მოგონებანი და ბიოგრაფიები შესანიშნავ პირთა, 89 წიგ. 7) ეკონომიური და იურიდიული მეცნიერება 49 წიგ. 8) სოციოლოგია, ფილოსოფია, ისტორია პირველ ყოფილი კულტურისა 12 წიგნი. 9) ანტროპოლოგი, გეოგრაფია, ეკონოგრაფია და მოგზაურობა — 19 წიგ. 10) მათემატიკა, ფიზიკა, ასტრონომია, ქიმია მაიეროლოგია და ამგვარები 54 წიგ. 11) მედიცინა, ჰიგიენა, ტერნოლოგია, ბალოსნობა და მეურნეობა 18 წიგ. 12) კრებული ამხ. „ცოდნა“ 54 წიგნი, 13) რუსეთის ყველა პერიოდული (პროგრესიული) გამოცემები („რუს. ბოგატ“., „ვესტ. ზნანია) და სხვები რამდენიმე წლების. 14) დიდი ენციკლოპედიური ლექსიკონი „ბროკაუზის“ და „ეფრონი“-სა 50 ცალი. 15) ქართული წიგნები ყველა ქართველი მწერლებისა სულ 344 წიგნი. — წიგნები რიცხვით თუმცა ცოტაა, მაგრამ შინაარსით მდიდარი; ხედავ იდამიანი უკლისათ აწევია ისენი მწერლების წიგნები, როგორიც არიან პისარევი, დოსტოევსკი, დობროლიუბოვი, ჩერნიშევსკი და სხ. და გული გიკვდება! ბიბლიოთეკარი ეხვეწება, ემუდარება ყველას, ვინც მიდის — დამეხმარეთ, მომიწყეთ ხელი წიგნების გავრცელებაში, მარა ყოველი ხვეწნამუდარა ჯერ-ჯერობით უშედეგოთ რჩება. დღეს-დღეობით ბიბლიოთეკას 301 მკითხველი ჰყავს, 15 ათასი მუშა მოსამსახურე და 301 მკითხველი, „სად არის სირცხვილი სიწითლე შენი“?! მერე არ იკითხავთ ვინ არიან ეს სამას ერთი კაცი? ესენი დიდი უმეტესობა: სადგურის უფროსები, მათი თანაშემწეები, უფროსი ტელეგრაფისტები, მემანქანეები, „კონტორშჩიკები“ და სულ თეთრ ხელა ხალხი; წვრილი მოსამსახურე და მუშები? ცოტა, სულ ცოტა დებულობს მონაწილეობას. ვისთვის არის ბიბლიოთეკა მეტი საჭირო? ამის პასუხი მკითხველებისთვის მომინდვია; მე ვიტყვი მხოლოდ, რომ საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს შეგნებულმა ნაწილმა მსხვილ და წვრილ მოსამსახურეებისამ და შეეცადოს მეტი მკითხველი მოუპოვოს ამ წმინდა დაწესებულებას, აქ ამით ორნაირი სარგებლობის მოტანა შეუძლია, პირველი: ხალხი მოიპოვებს იმას, რაც მისთვის აუცილებელი საჭიროა, ხოლო, მეორე — ბევრი მკითხველებით ბიბლიოთეკის შემოსავალიც მოიმატებს და მით მისი მოქმედებაც გაფართოვდება, თუ დღეს თვეში ორხელ დადის სადგურებზე, მაშინ შესაძლებელი იქნება მთელი რკინის გზის ლიანდაგი რამდენიმე ნაწილათ დაჰყონ და თვითეულ ნაწილში თითო ვაგონი ბიბლიოთეკა კვირაში თითოხელ ჩამოიაროს და თუ ეს ასე იქნება, ეს ხომ „კოვზით ზიარება“ იქნება უმეტეს ნაწილათ იმ ადგილების მოსამსახურეთათვის, სადაც არც წიგნის და არც ჟურნალ-გაზეთის ხსენებაც არ არის.

უ. ნ.

# პროვინცია

ბათომი. რამდენიმე წელიწადია, რაც აქ სახალხო უნივერსიტეტი არსებობს. თქმა არ უნდა, ამ ფრიად სიმპატიურ დაწესებულებას ბევრი რამ შეუძლია გააკეთოს ხალხისათვის. მარა, სამწუხაროთ, ბათომის სახალხო უნივერსიტეტი ძალიან სუსტათ ემსახურება თავის დანიშნულებას. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ძალიან სუსტათ სარგებლობენ ბათომლები სახალხო უნივერსიტეტით. ლექციები იშვიათათ იკითხება. მაგალითათ, გასული წლის სექტემბრიდან მხოლოდ ორსამჯერ წაიკითხეს. ადგილობრივ ლექტორები ცოტა მოიპოვება. იმათგან მხოლოდ ორი ეწევა ამ შრომას და იმათაც დროს უქონლობით თუ სხვა მიზეზების გამო იშვიათათ უხვდება ლექციის კითხვა. თფილისიდან ან სხვა ქალაქიდან აქ ლექტორები არ მოდიან, მოსვლა კი საჭიროა. მიუხედავათ იმისა, რომ აქ ლექცია იშვიათი ხილია, ხალხი ცოტა ეტანება. ყოფილა ისეთი მაგალითიც, რომ ხალხის დაუსწრებლობის გამო ლექცია გადაიდო. ხშირათ ლექციებს ისევ ცოტა ხალხი ესწრება, რომ შემოსავალი გასამართავ ხარჯებსაც ვერ ფარავს. ცოდვა იქნება თქმა იმისი, რომ ლექციები შინაარსის მხრივ დამსწრეთ არ აკმაყოფილებდეს.

ასეთივე დღე ადგია სახალხო უნივერსიტეტის სკოლებსაც. მოსწავლეების სიმცირე, არა რეგულარული დასწრება გაკვეთილებზე, სასწავლო ნივთების უქონლობა და სხვა. ასეთი უნუგეშო ყოფის მიზეზათ უნდა ჩაითვალოს, რასაკვირველია, დღევანდელი დრო. დრო უიმედობისა, გულგატეხილობისა და უიმედობისა. მაგრამ გასაკვირია და სამწუხაროა, როცა ზოგიერთ მუშებისაგან გესმის: „რა დროს ჩემი სწავლაა, ახალგაზდობაში არა მისწავლია, აწი რაღას მოვესწრებით“. ან-და: „რა მესწავლება, როცა ცოლშვილიანათ შიმშილით ვკვდებით“. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ თითქმის მეტ ნაწილს მუშებისას, სწორეთ იმათ, რომელთვისაც ზედ გამოჭრილია ეს სკოლები და ლექციები, ამისთვის არა სცხელათ და თავისუფალ დროს, მუშაობის შემდეგ, კარტისა და ნარდის თამაშში ატარებენ. ხელზე მოსამსახურეთა და ვაჭარ-შეგირდთაგან კი მეტია სწავლის მსურველნი, მარა დიდი უმრავლესობისათვის სკოლის კარები გამოხურულია, რადგან ხაზეინები მათ ამის ნებას არ აძლევენ. ვაჭრები მაღაზიას და დუქნებს ათ საათამდე არ კეტავენ და მანამდე არც თავიანთ ნოქრებს უშვებენ, როგორც ამის მაგალითი არა ერთხელ და ორჯელ იყო. ხელზე მოსამსახურეები და სტოროჟები, ხომ მუდამ თავიანთ ბატონს უნდა ადგენ თავზე, და სკოლისთვის, რაღა თქმა უნდა, აღარ სცალიათ.

ასეთი გულგრილობა საზოგადოების მიერ სახალხო უნივერსიტეტს ყოველ მხრივ უხერხულ მდგომარეობაში აყენებს. ხარინ ნიკიტინების ცირკი, გინდ ვიღაც ვითომდა „არტისტ“ მიქელაძიშვილის წარმოდგენებზე უფრო დიდ დამსწრე საზოგადოებას და მოარშიყე ქალ-ვაჟთაგან სახალხო უნივერსიტეტი არას გამოელოდა და არც რამე მოსალოდნელია მათგან შემდეგშიაც, მარა ცხადზე უცხადესია, რომ ბათომში საკმაოთ მოიპოვება ხალხი, რომლისთვისაც აუცილებელია სახალხო უნივერსიტეტი და მისი განმანათლებელი საქმეები და კიდევაც ამ საზოგადოებამ უნდა ეცადოს გააძლიეროს სახალხო უნივერ. როგორც ქონებრივათ, ისე საქმითაც და შეეცადოს მის ნაყოფიერათ გამოყენებას. როგორც ამას სხვა ქალაქებში შვრებიან. ამიტომაც, ასეთმა გულ-გრილობამ სახალხო უნივერსიტეტის ახლანდელ გამგეობას ისედაც მძიმე და ეკლიან გზაზე სხვა მრავალი დაბრკოლებები გადაუღობა, მაგრამ სწორეთ ეხლაა საჭირო ენერგიული შრომა, რომ ბურუსი გულგრილობისა გააქროს ისედაც სუსტი მოქმედებას სახალხო უნივერსიტეტისა არ შემცირდეს და ცოტათი აღძრული სურვილი სწავლისა და განათლებისა შეეცადოს გააღვივოს და არ ჩააქროს. ამიტომაც მართებს ბათომის საზოგადოებას მეტი გულმოდგინეობით ხელი შეუწყოთ ამათ მოქმედებას.

— 7 თებერვალს წაკითხულ იქნა ლექცია ბაღნიევის მიერ ქართულათ ბოტანიკაზე. ექიმ პაპისოვის მიერ რუსულათ სიფილისზე. ორივე ლექციას ხალხი ჩვეულებრივზე მეტი დაესწრო. ლექტორები საზოგადოებამ ტაშის ცემით დააჯილდოვა.

დოსტი.

# მუშათა შორის

ამიერ-კავკ. რკ. გზ. ბუფეტებში მოსამსახურეთა ცხოვრებიდან. ამიერ-კავკასიის რკ. გზ. ბუფეტების მოსამსახურეხაზეინებმა ისარგებლეს რა, დრო და გარემოებით, შეტევა იერიში მიიტანეს ბუფეტებში მოსამსახურეებზე, რომ წაერთმიათ მოპოვებული უფლებები და მიაღწიეს კიდეც მიზანს. დღეს რკ. გზ. ბუფეტების მოსამსახურეები აღარ სარგებლობენ აღარც განსაზღვრული სამუშაო დროთი, აღარც მიღებადათხოვნის უფლებით, მათთვის არ არის ადამიანური მოპყრობა, თავის დროზე ჯამაგირების მიღება და სხვა.

მოსამსახურეებს კარგათ ახსოვთ რეაქციის გაძლიერებისთანავე როგორი არა საკადრისი გზით გამოილაშქრეს მუშების წინააღმდეგ თფილისისა და მცხეთის მოიჯარადრეებმა. როგორ ზომებს მიმართა ულუხანლუს მებუფეტემ, რომ თავისი მუშები კავშირისთვის ჩამოეშორებია და რა ნაირი „პატივისცემით“ შეხვდა კავშირის წარმომადგენელს. როგორ „ისახელა“ თავი კარაკლისელმა მებუფეტემ მეგრელი მუშების სხვა მუშებზე მისასევათ. რანაირ პროვოკაციას მიმართა მებუფეტე ნიკო ბოლქვაძემ კავშირის მოწინავე პირის წინააღმდეგ და როგორ შეირცხვინა თავი თავისი მოქმედებით, როგორც იქცეოდენ პ. ნოღაიძე და სხვა, მათი ამყოლ-დამყოლნი.

განუსაზღვრელი სამუშაო დრო, უოველ მინუტში პიროვნების ფეხ-ქვეშ გათელვა, 20—25 პროც. ჯამაგირების დაკლება და სხვა ასეთი „შეღავათები“ კარგა ხანია რაც დაგვიკანონეს. მათ ყველა „არა საიმედონი“ მოიშორეს თავიდან, „ძირიან-ფესვიანათ“ ამოაგდეს მუშათა კავშირი და როგორც სურთ ისე იქცევიან. არის მაგალითები, რომ კავშირის მიერ ქურდობისა და სხვა დასაგმობი ჩვეულებისთვის დათხოვილნი მუშები ხაზეინებმა უკან მიიღეს. ზნეობრივათ ფაქიზ მუშებს თუ მათ წინააღმდეგობის გაწევის უნარი აქვთ, რასაკვირველია, ახლოსაც არ იკარებენ.

მუშების ასე უოველ მხრივ შევიწროვებაში მარტო „ხაზეინებსაც“ არ ედებათ ბრალი, მათ მხარს უჭერენ ზოგიერთი მუშებიც. ეს ვაჟბატონები არც წინათ იყვნენ სანდონი და ეხლა ხომ სულ გამოაშკარავეს თავიანთი ფიზიონომია.

დ. სამხვთოელი.

# თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. კვირას, 14 თებერვალს, ტასო აბაშიძის საბენეფისოთ ქართულ თეატრში ითამაშეს შირვანზადეს „ნამუსისათვის“ და ვოდევილი — „გულმა იგრძნო“, როგორც მოსალოდნელი იყო, მობენეფისემ ჩინებულათ შეასრულა თავისი როლი, როგორც პირველ ისე მეორე პიესაში. უმეტესათ სასიამოვნო სანახავი იყო ის ვოდევილში. დამსწრე საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა მისმა თამაშმა. კარგი იყო ვ. აბაშიძე და გედევანიც კარგი იყო გვარაძე, განსაკუთრებით უკანასკნელ მოქმედებაში, როცა გაიგებს, რომ მარგარიტამ თავი მოიკლა. მებენეფისე ტაშის ცემით დააჯილდოვეს და მრავალჯერ გამოიწვიეს. მიართვეს აგრეთვე სხვა და სხვა საჩუქრები. წარმოდგენას ხალხი ბლომათ დაესწრო.

რედაქტორ-გამომც. მ. არველაძე


# განცხადება

კბილის საექიმო კაბინეთ

იოხველისა

(„გაუფრთხილდით კბილებს“ ავტორის, ფასი 15 კ.) კბილების აქიმობა, ღრძილების, ძირების და პირიდან ცუდი სუნის. ხელოვნური კბილების ჩასმა. მიხაილოვის ქუჩა, 124, კბილის სამკ. სკოლის გვერდით. (100—20)

1-ლი კავკასიის დეპო თესლეულობისა

ლარშესი

არსებობს 1872 წლიდან

№ 10 მიხაილოვის პროსპ. № 10

იყიდება

ახალი მოსავლის

თესლეულობა

გამოცდილი კარგის თვისებებისა:

ბოსტნისა, | ბალახისა და
ყვავილებისა, | ხეებისა.

და საუკეთესო საკვები კანარეიკებისათვის არეული ყრავნეა დირს 25 კაპ. (10—2)

ქ. ბათუმში

ავეჯეულებისა და ჭურჭლეულობის

მაღაზია

პ. ა. მაჭარაძისა და პ. ა. ჭეიშვილის

დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩა 21.

მაღაზია-ში მუდამ არის დიდის არჩევით ყოველგვარი, ფარფორის, ფაიანის, ემალის და ნიკელის ჭურჭელი, საზღვარ-გარეთელი და რუსეთის ლამპები, ბროლისა და შუშის ნაწარმოებნი, ყოველნაირი სპილენძის და ნიკელის სამოვრები, ბრინჯაოს ნაწარმოებნი, ნავთისა და თუჯის ფეჩები, სამზარეულოს და სტოლის სხვა და სხვა მოწყობილობა და ყოველნაირი საოჯახო ნივთეულობა. „ლინოლეუმები“, „კლიონკები“ და ლითონის გვირგვინები, ვენის რბილი და კარგი ავეჯი, კრაოტები ინგლისის და ვარშავის ფაბრიკებისა, საყინულეები, სარკეები და მატერიები ავეჯისთვის.

მთელ საქონელს, როგორც რუსეთის ისე საზღვარ-გარეთისას, ვღებულობთ პირდაპირ ფაბრიკიდან, იყიდება ერთად და ცალობით, ● ფასები ხელმისაწვდომია ● ყველასთვის, რაშიც თითონ დარწმუნდება პატივცემული საზოგადოება, როცა ჩვენს მაღაზიაში ივაჭრებს. (0—6—34)


სტამბა „შრომა“, რუსის ქუჩა № 3.